

რაჭიათ, ჩემო თვალის ჩინო...


რეგიონი

№7 (70) 1.07.2015 - 1.08.2015 ფასი: 2 ლარი


შოთა რეზონი გამოცემა



ესლა
კაცანდა
საუკუნის
დროშიანი



რეზო
ზარა
ცისა
გამოქალა



ზოსი
ჟილი
ზოგადი
არეალი



ერთი
ღია
ცოვალ
ციგაზი



ასეთ მდგრად
ცეცხლი უადგენდა



კაბინონ-სური



საქართველო
ერებისას
სამოთავრო პირი აჩვენა

ISSN 1512-150X
9 771512150002

ონის მხარეთმცვლეობის მუზეუმი



სარჩევი

	პეტრე პავლობა	2		თეთრი გედი —	
	უმეცართა ზნეობამ ქვეყანა			გივი სიხარულიძე	14
	კატასტროფამდე მიიყვანა.....	5		ლების სკოლა მთის რაჭის	
	სვანიძის ქუჩიდან დაწყებული			სასიცოცხლო არტერიაა.....	16
	ტრაგედია.....	6		ერთი ქალის ისტორია	20
	საქართველოს საპატრიარქომ ენუ-			ადგილის დედის გამოძახილი	22
	ქიძეების მრავალშვილიან ოჯახს			საუკუნის ლოტბარი შალვა	
	სამოთახიანი ბინა აჩუქა	7		ჯაფარიძე.....	24
	შეგუბებულა წყალი და ამოუხრჩვია			ისტორია იწყება შუმერიდან	26
	ზოოპარკი! - ედიშერ ყიფიანის 1960			გმადლობთ.....	29
	წლის ჩანაწერებიდან.....	8		საოჯახო მარანი რაჭაში	30
	ნუ ეხუმრებით მამა გაბრიელის			21-ე საუკუნის ხილული სასწაული	
	ნინასწარმეტყველებას!	8		და უშვილოთა შემწე ტაძარი	32
	ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გმირული			ბუნებური მოვლენა, ღვთის	
	ისტორია, რომელსაც უნდა			წყრომა და აუხილველი თვალი	
	იცნობდეთ	10		გონებისა	34
	სალომე ფაჟავა — რაჭული			დაბრუნებული საუნჯე —	
	მუსიკით მოპოვებული			დავით კიკოლაშვილი	36
	ბრინჯაოს მედალი ბაქოდან!.....	11		თვალისჩინი —	
	ოლიმპიურ ცეცხლს რაჭამ			სოფიო რეხვიაშვილი	38
	უმასპინძლა	12		ნინაპართა გამოძახილი —	
				რეზო ბერაძე	40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახევიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

პორჩა გულაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარშვილი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგიაძეამ

მისამართი: თბილისი, ლესელიძის
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ

რაჭველებს და არა მარტო მათ,

გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს —

გამოვგიზზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,

რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს

მონატორებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე

დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქტორი შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

პეტრე პავლოს

ქრისტეს მონაფეთა - მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივსორმათგანსმიაგებსდამათთავმოციქულებად სახელსდებს. ესენი არიან - წმ. პეტრე და პავლე.

წმ. მოციქული პეტრე, უფროსი ძმა ანდრია მოციქულისა, უფლის ხმობამდე გალილეის ტბასთან მდებარე პატარა ქალაქ ბეთსაიდის მეთევზე იყო. სახელად ადრე სვიმონი ენოდებოდა. „შენ ხარ სვიმონ, ქვი იონახის, შენ გენოდოს კეფა, რომელი ითარგმანების: — კლდე“. ასე უთხრა მას იესო ქრისტემ, როდესაც მიჰხედა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ვლიდა რა ქრისტე გალილეის ტბის ნაპირთან, კვლავ იხილა პეტრე და ანდრია, რომელნიც ბადეს აგდებდნენ ტბაში. „მოვედით და შემომიდექით მე და გყვნე თქუნე მესათხევლე კაცთა“ - ამ სიტყვებმა, რომლებიც უბრალო მეთევზებისადმი იყვნენ მიმართულნი, გადაწყვიტეს მათი ბედი. მგზნებარე პეტრე, მხურვალედ მოყვარული უფლისა იესოსი, მაშინვე შეუდგა მას. მალე თვით უფალმა მოინახულა პეტრეს სახლი და მხურვალებისაგან განკურნა მისი სიდედრი.

ჰქონდა რა უდიდესი რწმენა და ერთგულება, პეტრე, - ერთი მხოლოდ ქრისტეს მონაფეთაგან - გაკადნიერდება სთხოვოს უფალს: „უფალო... მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა“. უფლის სიტყვისაებრ იგი ნავიდან წყალზე გადმოვიდა და როგორც ხმელეთზე ისე გაეშურა მისევნ. მაგრამ შეეჭვდა რა ღვთიურ შეწევნაში, დანთქმა იწყო. „უფალო, მიხსენ მე!“ შესძახა პეტრემ და ღვთიურმა მოძღვარმაც არ დაახანა, მეყსეულად განართხო ხელი და კვლავ უკან, ნავში, აიყვანა. მაგრამ არა მარტო ქარბორბალასა და ქარისაგან იხსნა უფალმა, არამედ მცირედმორჩმუნეობისგანაც, ეტყოდა რა „მე ვევედრე მამასა ჩემსა შენოვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოებად შენი“. თაბორის მთაზე პეტრე იაკოპსა და იოანესთან ერთად გახდა მოწმე უფლის ღვთიური დიდებისა. დაინახა რა უფალი იესო ქრისტე ფერიცვალებით და ესმა ხმა მამაღმერთისა „ესე არს ქე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“, პეტრემ განიხარა და წამოიძახა „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაა“. ამაზე მოგონება მის ერთ-ერთ ეპისტოლეშია შემორჩენილი.

მოახლოვდა რა უამი მაცხოვრის მხსნელი ვნებებისა, იერუსალიმისაკენ მიმავალი დაეკითხა იგი თავის მოწაფეებს „თქუნე ვინ გგონიე მე ყოფად?“



პეტრემ, მოციქულთა შორის პირველმა, სთქვა: „შენ ხარ ქრისტე, ქე ღმრთისა ცხოველისაი“, რისთვისაც უფლისაგან უდიდესი შექება დაიმსახურა: „ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ბარ იონა“ „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა ალვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. პეტრესულმა აღმსარებლობამ თავისი გამოძახილი პპოვა მოციქულთა სადღესასწაულო საკითხავებში „ქრისტემან შენ პირველი გამოგაჩინა, პეტრე და საფუძველად სარწმუნოებასა გვირგვინოსან-გყო შენ“. საიდუმლო სერობის უწინარეს სიონის ქორედზე მაცხოვარმა „...მოიღო არდაგი და მოირტყა იგი... და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა“. „უფალო, შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?“ შეენინააღმდეგა პეტრე. „უკუეთუ არა დაგბანე შენ ფერხნი, არა გაქუნდეს შენ ნაწილი ჩემ თანა“ - განუმარტა მას უფალმა. მაშინ პეტრემ, შიშითა და სიყვარულით მოცულმა, შეჰლალადა: „უფალო ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი“. მოწაფეთაგან მხოლოდ ერთი, პეტრე, გამოექმაგა უფალს გეთსიმანის ბალში. აღმოიხადა მახვილი და ერთ იქ მოსულთაგანს მოჰკვეთა ყური, მაგრამ მაცხოვარმა თვით თავისი სიკვდილის წინაც კი იზრუნა და განკურნა ყურმოჭრილი. პეტრე გაჰყვა უფალს კაიაფა მღვდელომთავრის სახლამდის, მასთან ერთად შევიდა ეზოში და იდგა იქ ცეცხლთან და თბებოდა. მაგრამ სამგზის უარჟყო თავისი ღვთიური მოძღვარი, როცა მასაც ხელს ადებდნენ, როგორც ქრისტეს მოწაფეს: „არა ვიცი კაცი ესე“ და როდესაც მესამედ უარჟყოფდა, დაინახა რომ უფალი უმზერდა მას და „განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“. ერთ-ერთი წმინდა გადმოცემით, მას მერე ყოველთვის, როცა კი მოესმოდა მამლის ყივილი, პეტრე თურმე მწარედ ატირდებოდა ხოლმე, მომგონებელი თავისი ამ შეცოდებისა, ისე რომ ხშირი ტირილისაგან თვალის უბესთან სისხლიანი ღარები გაუჩნდა.

მაგრამ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც გულმოწყალე უფალი არ ჰქონიებდეს. პეტრეს სინაცული იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ აღდგომის შემდეგ უფალი პირველს, მოწაფეთა შორის, პეტრეს ეჩვენა. სამჯერ დაეკითხა პეტრეს: გიყუარ მეა? და სამგზის მიიღო პასუხად: ჲე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. იესო ქრისტემ აღადგინა იგი მოციქულის ლირსებაში, ანდო მას დასამწყსველად თავისი სიტყვიერნი ცხოვანი. უფლის ამაღლების შემდგომ პეტრეს რჩევისაებრ

ათორმეტ მოციქულთა შორის შეირაცხა მატათა. ამას შემდეგ, სულთმოფენობისას, პეტრე პირველქრისტიანული თემის წინამდლოლი შეიქმნა. მკვდრეთით აღმდგარი უფლის მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული მისი ქადაგება იმდენად ცხოველსმყოფელი ზემოქმედების იყო, რომ ათასობით ადამიანს მოაქცევდა ქრისტეს სარწმუნოებაში. საოცარი ნიშები ახლდა პეტრესეული აღმსარებლობის ქრისტესმიერ რწმენას. მკვდრები აღსდგებოდნენ, მკელობელი და განრღვეული განიკურნებოდნენ, დანაშაულში მხილებული სულს განუტევდნენ.

ცნობილია წმ. პეტრე მოციქულის ორი კათოლიკე ეპისტოლები. მეორე ეპისტოლები წერს „უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევება საყოფელისა ამის ჩემისაა, ვითარცა - იგი უფალმან ჩუენმან იქსო ქრისტემან მაუწყა მე“, ანუ უფლის სიტყვისაებრ წინასწარმეტყველებს თავის მოახლოებულ აღსასრულს. იმპერატორ ნერონის ბრძანებით პეტრე მოციქული შეიპყრეს და განაჩენად ჯვარცმა გამოუტანეს. სთვლიდა რა უღირსად თავს მიეღო ისეთივე მოწამეობრივი სიკვდილი, როგორც მის მასწავლებელს ჯალათებს სთხოვდა თავქვე ეცვათ ჯვარს, სურდა რა სიკვდილის დროსაც დაეხარა თავი უფლისთვის.

წმ. მოციქული პავლე წარმოშობით ბენიამენის ტომიდან იყო და თავის მოციქულებრივ მსახურებამდის სახელად სავლე ერქვა. კილიკის ქ. ტარსუში დაბადებული „განსწავლულ ზედმინევნით მამულითა სჯულითა; მომურნევიყავლმრთისათვის“, როგორც თვითონვე ამბობდა საკუთარ თავზე, - „ვსაცემდ ვიდრე სიკუდილამდე, შევპრებ და მივსცემდ საპყრობილედ მამათა და დედათა“. იგი იწონებდა მთავარდიიაკონ სტეფანეს წამებას და მის ქვით ჩამქოლავთა სამოსელსაც კი სდარაჯობდა.

როდესაც იგი დამასკოს მიუახლოვდა, იგი ღვთიურმა ნათელმა მოიცვა. ყველა მისი მხლებელი მხედარი ცხენებიდან ქვე ჩამოვარდა, ხოლო სავლეს ესმა ხმა, რომელიც იტყოდა: „საულ, საულ, რახა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა წიხნა დეზისაა“. სავლე დაეკითხა: შენ ვინ ხარ, უფალო? ხმამ უპასუხა: მე ვარ იქსო, რომელსა შენ მდევნი. არამედ აღდეგ და დადეგ ფერხთა შენთა ზედა, რამეთუ ამისთვის გერვენე შენ, რათა დაგ ადგინო შენ მსახურად და მოწამედ, რომელი იხილე და რომელი გიჩუენო შენ.

სავლეს მხლებლებს ხმა ესმოდათ, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ. ღვთიური ნათებისაგან სავლე დაბრმავდა და უფლის მითითებით გაეშურა დამასკოსაკენ, სადაც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი ანანია ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს კი გამოცხადებით ემცნო: აღდეგ შენ ადრე და მივედ უბანსა მას, რომელსა პრქვიან მართალი, და მოიძიე ტაძართა მათ იუდასთა სავლე სახელით, ტარსელი. ანანიას მისთვის ხელი უნდა

დაესხა და თვალი აეხილებოდა.

მოილო რა პავლემ უფლისაგან ბრძანება, ეხარებინა სასუფეველი, იწყო მქადაგებლობა იუდეველებსა და წარმართებში, მონებს შორის და თავისუფლებში, რისთვისაც თავს იღო ხანგრძლივი მოგზაურობები და წარგზავნიდა ეპისტოლებს. პალესტინასა და მცირე აზიაში, საპერძეთსა და იტალიაში, ხმელთა მუჟა ზღვის კუნძულებზე გაისმოდა მოციქულის მგზნებარე სიტყვა.

თავის განუწყვეტელ ღვაწლში მრავალი ჭირთამენა უწევდა წმ. პავლეს. „პურიათაგან ხუთ გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემა მოვიღე. სამგზის კუერთხითა ვიეც, ერთ გზის ქვითა განვიტვინე, სამგზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსერულთა შინა დავყავ“. ფილიაპესა და მაკედონიაში ქადაგებისას შეპყრობილ იქნა და საპყრობილები ჩაგდებულ. მაგრამ ბორკილდადებულიც განაგრძობდა ლოცვასა და ღვთის დიდებას და შუალამისას დიდი ძრვა იყო, კარნი განეხვნეს და ბორკილები დასცვივდა.

ათენში ქრისტეს ახარებდა „მის მიერ ცხოველ ვართდავიქცევითდავართ“. ამ ქადაგებამარეობაგში ახალმოქცეულები შესძინა საქრისტიანოს, მათ შორის მომავალი დიდი ღვთისმეტყველი დიონისე არეობაგელი. როდესაც მესამე მისიონერული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა პავლე მოციქული კესარიაში შეხვდა აგაბო წინასწარმეტყველს, რომელმაც აიღო პავლეს სარტყელი, „შეიკრა ხელი და ფერხნი და სთქა: ამას იტყვის სული წმიდა: კაცი, რომლისა არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალიის“. ამით აგაბომ ბორკილები უწინასწარმეტყველა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა. იერუსალიმში დაბრუნებისას პავლე მოციქული შეიბყრეს და როგორც რომის მოქალაქე კეიისრის სამსჯავროზე გაგზავნეს.

აქ, რომში წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეეწეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით მან მოაქცია იმპერატორის მეღვინეობურცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

ზოგიერთი მოწმობით პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად, სხვა გადმოცემით - პავლეს სრული ერთიწლის შემდეგ მოკვეთეს მახვილით თავის პეტრეს ჯვარცმის შემდგომ. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დაწესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტეანთათვის. IVს. წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლიში აღმართა ტაძრები წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელზე.

რუსულიდან თარგმნა
დეკანოზმა არჩილ მინისტრი

სისხლიანი დღეების ქრონიკა

დედაქალაქი თბილის უგდურების ეპიზოდი

1924



„წყალდიდობის მსხვერპლი“ - ამ სათაურით 1924 წლის 14 ივნისს გამოვიდა გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც 13 ივნისს ვერეს ადიდებისა და ადამიანთა მსხვერპლის შესახებ იტყობინებოდა.

გაზეთი წერს, რომ სოფლიდან ლამის გასათევად დაბინავებული გლეხები მოულოდნელად მოვარდნილმა ვერემ წყლის ქვეშ მოიყოლა. ჯერ ძლიერი კუდიანი ქარი ამოვარდნილა, ხოლო შემდეგ წვიმა 1 საათი გაგრძელებულა. გაზეთი კონკრეტულ ადგილსაც მიუთითებს: პირველ სამილიციო უბანში, ვერეს დელესთან ბოზარჟიანცის თუთუნის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია.

„1-ელ სამილიოციო უბანში, ვერეს დელესთან ბოზარჟიანცის თუთუნის ქარხნის მახლობლად, ჩვეულებრივ დაბინავებულან მახლობელ სოფლიდან ჩამოსული გლეხები ურმებით ლამის გასათევად. გლეხები მოჰყვნენ წვიმაში, მოულოდნელად აღნიშნული დელედან მოვარდნილა ძლიერი ნიაღვარი და იქ დაბანაკებული გლეხები თავიანთი ხარ-ურმებით გაუტაცნია და შეუყრია მტკვარში. დალუბულთა რაოდენობა და ზარალი გამოურკვეველია. უბედურების ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდა მილიციოს უფროსი და ცეცხლის მქრობელი რაზმი“ - ამონარიდი 1924 წლის 14 ივნისის გაზეთ „კომუნისტიდან“.

1960



ფოტო არქივიდანაა ამოღებული და თბილისში 1960 წლის 4 ივნისს მომხდარ სტიქიას ასახავს. არსებული ინფორმაციით მაშინ მდინარე ვერე ადიდდა და თბილისის ზოპარკი და გმირთა მოედანი დატბორა.



13 ივნისს თბილისში სიკვდილის ზარმაჩამოჲკრა, ვერეს ხეობა თავისებურად მოაჯადოვა და სისხლმოწყურებული, გავეშებული დააცხრა თავს დედაქალაქს. მოთქმა, გოდება და ვაი-ვიში ისმოდა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე. მიწამ პირი გახსნა და 19 ადამიანის სიცოცხლე თან ჩაიტანა. 3 გაუბედურებული ადამიანის ცხედრის პოვნა დღემდე ვერ ხერხდება. დანგრეულ-გაპარტახებული სახლები, მინისაგან პირისა აღვილი გზა-კვალი, წლების მანძილზე ნაგროვები კაპიტალი, მოშლილი

ნერვები და განაცრისფრებული ცხელი ზაფხული... ამ ყველაფრის ფონზე შეუძლებელია არ აღინიშნოს ჩვენი ახალგაზრდა თაობის სამაგალითო ერთიანობა, ისინი თავიანთ ქალაქს და თანაქალაქელებს დაუდგნენ მხარში. ეს დღევანდელობიდან გამომდინარე, თითქოს გასაკვირია, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ — ქართველებს ოდითგანვე გაჭირვებაში გაერთიანება გვახასიათებდა და ასე მოვედით დღემდე.



კავკასიის მდგრადი ქადაგის განვითარების მიზანის მიზანი


გეოლოგი, ქართული საინჟინრო გეოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტი, პროფესორი **გიორგი ჯაფარიძე**, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ, „თბილისის საინჟინრო გეოლოგიაში“ ნერდა: „განსაკუთრებით რთულად (sic!) უნდა ჩაითვალოს ტბისეული დანალექების გავრცელების არეალი (მდინარე ვერეს ხეობა), სადაც 1934 წლიდან დაწყებული მეწყრული ნანაცვლებები რელიეფის დეფორმაციას იწვევს. ტბისეული დანალექების გავრცელება



მტკვრის თანამედროვე დონის ქვემოთ ჩვენ დავადგინეთ 1935 წელს და დავადასტურეთ 1951-1974 წლების შრომებში. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს იმ შემთხვევებში, როცა ეს ტერიტორიები განაშენიანებისთვის ან მინისჭვეშა მშენებლობისთვის იქნება გამოყენებული.”

ეს იმ ამბიციური ყვარყვარებისთვის და მათი მეხოტბეებისთვის, ვის უმეცარ, უგნურ ვოლუნტარიზმსაც უნდა ვუმადლოდეთ უდიდეს ადამიანურ და მატერიალურ კატასტროფებს.

მეცნიერებამ ჯერ კიდევ 80 წლის წინ დაადგინა, რომ საინჟინრო-გეოლოგიური რისკების თვალსაზრისით ვერეს ხეობა განსაკუთრებით რთული იყო, შესაბამისი გაფრთხილებაც გაკეთდა. მეცნიერების და ცოდნის იგნორირებამ და უმეცართა ზეობამ სად მოგვიყვანა დღეს თვალნათლივ დავინახეთ.



сульфатно-агрессивными, независимо от глубины залегания и литологии водовмещающих пород. Установлено увеличение содержания сульфатных солей в водах в направлении с запада на восток.

8.. Связные и рыхлые грунты, имеющие большое распространение на территории, также являются сульфатно-агрессивной средой вследствие содержания в них гипса.

9. Особо сложной следует считать площадь распространения озерных отложений (ущелье р. Вере), где начавшиеся с 1934 г. оползневые смещения вызывают деформацию рельефа. Распространение озерных отложений ниже современного уровня р. Куры нами установлено в 1935 г. и подтверждено работами 1951—74 гг. Это следует принять во внимание в случаях использования территорий под застройку или подземного строительства.

10. Вопрос генезиса замкнутых депрессий нами рассмотрен методом исключений, вследствие чего анализом фактического материала доказана несостоятельность объяснения генезиса этих депрессий в результате тектонических подвижек.

სვანიძის ეურიდან დაწყებული ტრაგედია

ვინ იყო გიგო სვანიძე



გივი სვანიძე — ქართველი ჰიდროლოგი და ჰიდროენერგეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იყო. საბჭოთა კავშირის პერიოდში ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სტოქასტიკური ჰიდროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ.

მისმა გამოკვლევებმა ჰიდროლოგიური პროცესების მოდელირების დარგში დასაბამი მისცა ახალ სამეცნიერო მიმართულებას მდინარეული ჩამონადენის რეგულირების თეორიაში.

გამოკვლევები აქვს წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და ჰიდროენერგეტიკის დარგში. სვანიძემ შეადგინა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის, უინვალის ჰესისა და მდინარეების არფისა და ელეგისის სევანის ტბაში გვირაბით გადაგდების პირველადი სქემები.

მის მიერ დამუშავებული მეთოდები ფართოდაა გამოყენებული ანგარა-ენისეისა და ენგურის ჰესების კასკადების დაპროექტების, აგრეთვე მინგეჩაურის, ბუქთარმისა და სხვა ჰესების საექსპლუატაციო გეგმების შედგენის დროს. სვანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ნაშრომი „საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება“ (1960-1961, ტ. 1-10). სვანიძე ხელმძღვანელობდა მეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გზით ატმოსფერული ნალექების ხელოვნური სტიმულირების სამუშაოებს, კოლხეთის დაშრობის შესაძლო კლიმატური ცვლილებების პროგნოზირების საქმეს.

სვანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად განისაზღვრებოდა ჰიდროლოგიის, ჰიდროენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის პრობლემებით.



სექტემბერის სემინარი ეცხმის მოვლენის მიზანის ღირებულების შემთხვევა



საქართველოს საპატრიარქომ 13 ივნისის სტიქიის დროს დაზარალებულ ენუქიძეების მრავალშვილიან ოჯახს სამოთახიანი ბინა აჩუქა. ოჯახი წყნეთის ხევში ცხოვრობდა და სტიქიის დროს ოჯახის უფროსი დაიღუპა.

საპატრიარქოში ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, თბილისის მერი დავით ნარმანია, ვაკის გამგებელი ლაშა აბაშიძე.

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ განაცხადა, ბოლო დღეებში საქართველოს დიდი მწუხარება ეწვია.

„მე მინდა, გავიხსენო ძველი აღმოსავლური გამოთქმა, „მწუხარებავ, შენ საწყისი ხარ სიხარულის, სიხარულო, შენ საწყისი ხარ მწუხარების“. მწუხარების დროს, რომელიც ბოლო დღეებში გვენვია საქართველოს, ჩვენ დავინახეთ ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის ერთსულოვნება. ჩვენი ხალხი არ იშურებს არაფერს იმისთვის, რომ დაეხმაროს გაჭირვებულ ადამიანებს“, - განაცხადა პატრიარქმა.

მისივე თქმით, არის ერთი ცნობილი ოჯახი, ჯულიეტა ხოფერიას ოჯახი, რომლის შვილიც აქ ცხოვრობს. მან საპატრიარქოს საჩუქრად ბინა გადასცა, საპატრიარქომ კი მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ბინა დაზარალებულ მრავალშვილიან ოჯახს გადასცეს.

პატრიარქის განცხადებით, ეს ბინა მდებარეობს ჭავჭავაძის პროსპექტზე და ერთ-ერთი საუკეთესო ბინაა თბილისში.

„მე მოხარული ვარ, რომ ბავშვები გაიზრდებიან ამ ბინაში და ექნებათ თავშესაფარი. ჩვენმა დედებმა ასევე მოამზადეს ხუთი კომპლექტი ლოგინი, ლოთისმშობლის ხატი, რომელიც პირველი უნდა შევიდეს ამ ბინაში თქვენთან ერთად. პირველი ხარჯებისთვის მოგიმზადეთ 1000 ლარის სახარჯო ფული“, - მიმართა პატრიარქმა ოჯახის წევრებს.

ამის შემდეგ ილია მეორემ პრემიერ-მინისტრს სთხოვა, ოჯახისთვის გასაღები მას გადაეცა, შესაბამისად ირაკლი ლარიბაშვილმა ენუქიძეების ოჯახს გასაღები გადასცა.



შეგუმრობლა წყალი და ამოუნის ჩოლპატკი! – ერიშეტ ყიფიანის 1960 წლის ჩანაწერები

სოციალურ კსელში გავრცელდა 1960 წლის 4 ივნისს თბილისში მომხდარ ფრაგელიასთან დაკავშირებით მთავარ ეძიშვილ ყიფიანის ჩანაწერი.

„ტრაგედია დატრიალდა დღეს თბილისში.
დილის 9 საათზე მოვიდა დიდი წყიმა, ადიდებულა მდინარე ვერე და მოგლეჯილი ხეებითა და ლოდებით ამოუკვეთ ვარაზისხევის ქუჩის ქვეშ გაყვანილი გვირაბი, შეგუბებულა წყალი და ამოუხრჩვია ზოპარკი!

როცა გალიაში მიწით დასილული და უძრავად მწოლიარე ვეფხვი დავინახე, კინაღამ ავტირდი. ყველა ლომი, ყველა ავაზა და ყველა ვეფხვი დაიხრჩო. წარმოვიდგინე, როგორ ებრძოდნენ წყალს, როგორ გაჰყვეს ნესტოები გალიის ჭერში, რეინებს შორის, ეს იყო მათი უკანასკნელი გაბრძოლება, მერე წყალმა გალიის ჭერიც დაფარა.

ლომი, ლომი წყლით დამხრჩვალა იმიტომ, რომ დატყვევებული იყო და არწივიც იმიტომ, რომ დატყვევებული იყო!

თეთრი დათვები მუცელდაბერილები ეყარნენ ცემენტის ცივ იატაკზე. ალბათ როგორ ესიამოვნათ პირველად, როცა ზაფხულის ამ თბილ დილას წყალი შეუდგათ მუხლამდე, მაგრამ მერე? ალბათ ვცდები, ასე არ მოტყუფებოდნენ, ალბათ, ყოველმა მხეცმა ინსტიქტით იგრძნო საშიმროება და დაინყო ბრძოლა გალიებში, ისე თვალნათლივ ვიგრძენი ეს სურათი, რომმაურულებს ხოლმე.

როგორ მენანება, როგორ მეცოდება მხეცები, იმიტომ რომ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ. რა მოულოდნელიყოალბათესწყლისშემოტევამათვის, უფრო მოულოდნელი, ვიდრე ადამიანისათვის იქნებოდა, მხოლოდ ბეჟემოტმა შესძლო რკინის ფანჯრის გამომტვრევა და გათავისუფლება. იმ საღამოს იგი უძრავად იწვა საზაფხულო ვოლიერში და მძიმედ ქმინავდა ბრძოლაგადხდილი. როგორ მეცოდებიან ლომები, ვეფხვები და არწივი.

ის ღრუბლები მოვიდნენ აფრიკიდან: - ედიშერ ყიფიანის უბის წიგნაკიდან 1960 წ. 4 ივლისი.

შეკვეთ:

ცუ ეცულებულით მომარტინი ბრძოლის დროის მომარტინი და მომარტინი გადასახლება!

ჩა ქადაგებელ მამა გაბრიელ სესუალურ უმშირესობაზე



„თუ მიიღეს უზნეობის წამახალისებელი, ანტიქრისტიანული კანონი, სასჯელი მთელს ერს დაატყდება თავზე“. ნუ ეხუმრებით ლირსი მამა გაბრიელის წინასწარმეტყველებებს, ყველა მისი ნათქვამი სიტყვა სახეზეა და ბევრი მოვლენა წინ გველოდება. ის ვინც თავისი დროის წმინდანს პატივს არა სცემს, წარსულის წმინდანები ასეთი ადამიანის ლოცვას არ შეისმენენ. ნახევარი ჯოჯოხეთი მიწაზეა ამოსულიონ - ამბობდა მამა გაბრიელი. „ადამიანები ვეღარც ამჩნევენ, თუ როგორ ეუფლება მათ გონებასა და სხეულს ბოროტი სული. საკუთარი დედის გინების ცოდვაც ამაზე მეტყველებს. მომრავლდნენ ეშმაკეულნი, რადგან მათმა

შეგონება

დედებმა აბორტით მოაკვდინეს მათი და-ძმა და ეშმაკი ცოცხალი შვილების ბაგებით უტიფრად აგინებს მკვლელ დედებს. უფალო შეგვიწყალენ" ... - ეს სიტყვები „მონანიების“ მთავარმა გმირმა, დავით გიორგობიანეა საპუთარი ფილის გვერდზე გამოაპვეყნა... (მსახიობა ნიმდა გაპრიელი 29 წლის წინ გაიცნო და ცლების განეავლობაში მასთან განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა).

ამჯერად მსახიობი მოსკოვში იმყოფება და ქართველ ხალხს და ხელისუფლებას ინტერნეტის მეშვეობით მიმართავს...

- მამა გაბრიელმა უკვე ყველაფერი წინასწარ თქვა, ჩვენ მხოლოდ გვევალება წავიკითხოთ, ვიცოდეთ, გავითავისოთ და გავაანალიზოთ უდიდესი წმინდა მამის და აღმსარებელის, არქიმანდრიტ გაბრიელ სალოსის ნაანდერძევი სიბრძნე.


შევეცდები მისი ნათქვამის პერიფრაზები გავაკეთო და ერმა კი მასზე დაწერილ წიგნებში ამოიკითხოს მისი წინასწარმეტყველებანი. დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს სიყვარული გადაარჩენს და არ არის სხვა რამ ძალა ჩვენი მშველელი და გადამრჩენელი, გარდა სიყვარულისა. დღევანდელ ხელისუფლებაში კი არა სჩანან სარწმუნოებრივად ღრმად განსწავლული, ღვთის მოყვარული და აღმსარებელი ადამიანები და ამიტომ მათ მიერ მიღებული კანონები შეიძლება ღვთის საწინააღმდეგოც აღმოჩნდეს, თუნდაც უნებურად. ჩვენი ვალია მათ ავუხსნათ და მოვუნოდოთ, ყურადღება მიაპყრონ ეკლესის ხმას, თუ თვლიან თავს მის წევრებად. ქართველმა ერმა მე ვერ გამიგოო - ბრძანა მამა გაბრიელმა და ამიტომ გაიყვანა მისი სული უფალმა ადრე, 66 წლის ასაკში.

იქნებ შევეცადოთ, ახლა მაინც გავუგოთ ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე განლმრთობილ წმინდანს...

ა ი რა დაიბარა მამა გაბრიელმა: რომ გარდავი-ცვლები, ცოტას გაიგებთ ჩემს შესახებ. საქართველო სულ დაიშლება. მაგრამ ღმერთმა რომ ლაზარე მკვდრეთით ალადგინა, რომელიმე ნეკნი აკლდა? ასევე აღსდგება საქართველო ნიკოფილი დარუბანდამდე. როდესაც ყველას ეგონება რომ მორჩა, დაიღუპა და აღარაფერი ეშველება საქართველოს, მაშინ მოვა მისი ხსნა. ასე რომ, ვინც საქართველოს დაშლაში, დაღუპვასა და გახრნნაში მიღებს მონაწილეობას, ისინი ვერ აღდგებიან. ვინც ამ ახალ კანონს მიღებს და ერს დაუკანონებს, ვერასდროს ეღირსება უფლის წყალობას!

თუ ვინმე მომავალში აპირებს სინანულს, სჯობია ახლავე შეინანოს მცდარი გადაწყვეტილება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რომ მერე მისთვის გვიანი არ აღმოჩნდეს, რადგან გარყვნილების და უზნეობის დაკანონება არის იმ იშვიათ ცოდვათაგანი, რომელიც მყისიერად მოითხოვს ღმერთისგან შურისძიებას. არ შეგეშალოთ, ის რაც სხვა ქვეყნებში დროში ყოვნდება მათი ურნმუნობების და უგუნურობის გამო, ჩვენს ღვთივრჩეულ და ღვთისმშობლის წილხვედრ ერში, ღვთისაგან მყისიერი სასჯელით დაგვირგვინდება და თან დაისჯება მთელი ერი, თუკი მივეცით მათ საშუალება ამ კანონის დაკანონებისა!

ვისაც რწმენა შეგრჩენიათ მთავრობასა და პარლამენტში, ხელისუფლებასა და ერში, ეკლესიისა და თავის, იესო ქრისტეს სახელით, გევედრებით ნუ დაატეხავთ საქართველოს ღვთის რისხეას!"



სიკეთე ჰქმენით, რომ თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინოთ. ნახევარი ჭოჭოხეთი უკვე დედამიწაზეა, ანტიქრისტე კარებთან დგას და კი არ აკაკუნებს, შემოგლეჭას ლამობს. თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს, იგი მთელ დედამიწაზე მოინდომებს გამეფებას. დევნა ყველგან იქნება, მაგრამ საქართველოს მარიამ ღვთისმშობელი დაიფარავს, მისი წილხვედრია. აქ ნაკლები დევნა იქნება. ოლონდ ცალ-ცალკე ნუ იქნებით, ათი ან მეტი იუვით ერთად. ერთმანეთს უნდა შეეშველოთ დევნის დროს. ნუ შეგეშინდებათ, როდესაც გაგიჭირდებათ მოგალ და მოგეშველებით, ოლონდ თქვენ ვერ დამინახავთ.

ახალგაზრდა ცოდ-ქმრის გმირული ისტორია, რომელსაც უნდა იცნობდეთ



თბილისში ცოტა ხნის წინ მომხდარი უმძიმესი ტრაგედიის დროს, ბევრმა ადამიანმა გმირობისა და თავგანწირული სიმამაცის მაგალითი გვიჩვენა და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ადამიანები და ცხოველები გადაარჩინა. მათ შორის არიან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი

- დავით მენთეშაშვილი და ნინო კერესელიძე, რომლებიც თამაზ ელიზბარაშვილის თავშესაფრის თანამშრომლები არიან.

სტიქიის ლამეს, 13 ივნისს, დათო თანამშრომელ ედვარდთან ერთად მორიგეობდა, როდესაც თავშესაფარში წყალი შევარდა, ცოლ-ქმარს საკუთარი თავის გადაარჩენაზე არც უფიქრია. მათ სიკვდილს წამები აშორებდათ და მაინც უმანკო ცხოველების გადარჩენას ცდილობდნენ. ათეულობით ძალი გადაარჩინეს კიდეც დახრჩობას... ცოლ-ქმარმა გადაარჩენილი ცხოველები საბურთალოს სასაფლაოზე გადაიყვანა და ნინო იმ დღიდან, თავდაუზოგავად ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე.

მკითხველის ინფორმაციით, სიკვდილს გადარჩენილი, სვანიძის ქუჩის მცხოვრები - მიშა შახბაზიანი, რომელიც თავის მხრივ ძალების გადარჩენას ცდილობდა (ამის შესახებ „პრესა.ჭიმ“ უკვე მოგითხოვთ), დათომ კლდეზე იპოვა და სახლში წაიყვანა. „ფასდაუდებელია თანამშრომლების თავგანწირვა თამაზ ელიზბარაშვილთან ერთად.. ვფიქრობ ამ ხალხით საქართველომ უნდა იამაყოს!“, - გვწერს მკითხველი.

საქართველო კინგირი



ჩატყეրი მყსი კით მოპოვებელი ბინჯაოს მეღარი ბაქოშა!

ბაქოში გამართულ ევროპულ თამაშებზე ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც საქართველოს სახელი არაერთგზის გააბრწყინეს; 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედლებით მკერდდამშვენებული იდგნენ ევროპელ სპორტსმენთა გვერდით. სალომე ფაუავამ, მეგრელმა ტანმოვარჯიშე გოგონამ ჯუფი „ბანის“ შესრულებით რაჭულ მუსიკაზე არაჩვეულებრივი მხატვრული ნომერი შეასრულა, რის შემდეგაც მან ამ ურთულეს სპორტის სახეობაში მძაფრი კონკურენციის ფონზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გილოცავთ!





ჩაჭამ ოლიმპიკ ცაცხლე ემასპინძლე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი



20 ივნისს, ქალაქ ამბროლაურში ოლიმპიურ ცეცხლს უმასპინძლა, რომელიც ევროპის ახალგაზრდული მე-13 ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის სიმბოლოა, ცეცხლის ანთების ოფიციალურ ცერემონიალს ქალაქ ამბროლაურის მერი რატი ნამგალაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. ოლიმპიური ჩირალდანი გზადაგზა შვიდ მეჩირალდნეს: **ირაკლი გოგობერიშვილს** (თავისუფალი სტილით მოჭიდავე), **ნიკოლოზ კენჭაძეს** (თავისუფალი სტილით მოჭიდავე), **ბონდო სარდანაშვილს** (თავისუფალი სტილით მოჭიდავე), **ლაშა მეტონიძეს** (ფეხბურთელი), **მერაბ დარახველიძეს** (კალათბურთელი), **ქეთევან ქემოკლიძეს** (მძღეოსანი) და **დავით სხირტლაძეს** (ქორეოგრაფი) გადაეცა, რომელმაც ანთებული ჩირალდანი საბოლოო პუნქტამდე მიიტანა. 13 ივნისს „თბილისში დატრიალებული ტრაგედიის

გამო გაუქმდა საზეიმო ლონისძიებები, რომელიც ქალაქში ოლიმპიური ცეცხლის შემოსვლასთან დაკავშირებით უნდა გამართულიყო. კიდევ ერთხელ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.” - ნათქვამია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადებაში.

ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც ევროპის ახალგაზრდული მე-13 ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის სიმბოლოა, საზეიმოდ 26 მაისს საბერძნეთის უძველეს ქალაქ ათენში აინთო და საქართველოს 67 მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს მოივლის. ოლიმპიური ცეცხლი ქალაქ ამბროლაურში, ერთი ღამის განმავლობაში დარჩა.

ონის მუნიციპალიტეტი



20 ივნისს ონის მუნიციპალიტეტმა ოლიმპიურ ცეცხლს უმასპინძლა. ცეცხლის ანთების ცერემონიალს ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე, რაჭა-ლეჩხუმ — ქვემო სვანეთის გუბერნატორი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. ოლიმპიური ჩირალდანი ქალაქის ცენტრში ექვსმა მეჩირალდნემ მოიტანა.

ქალაქში ოლიმპიური ცეცხლის შემოტანასთნ დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება უნდა გამართულიყო, რომელიც 13 ივნისს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის და ონში დაღუპული მოქალაქეების გამო ვერ შედგა.

სიტყვით გამოსვლისას მუნიციპალიტეტის გამგებელმა ღრმა მწუხარება გამოთქვა ტრაგედიის გამო და მიუსამძიმრა გარდაცვლილთა ოჯახებს.

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, დიდი სიხარულით შევხვდით ამ ისტორიულ დღეს და ვიმედოვნებთ, რომ ოლიმპიური ცეცხლი იქნება მშვიდობის, სიკეთის, მეგობრობის და აღმასვლის მომტანი.



2030 სისტემული



თათი ბეჭედი

1987 წლის აგვისტო. სოჭის სასტუმრო „შემჩუქინაში“ ხალხმრავლობაა. ერთ თავისუფალ ნომერს ვერ ნახავ. ეგრეთ წოდებული „გერხი“, ესე იგი ქრთამი, სასტუმროში მოსაწყობად 1000 მანეთს აღწევს. ისიც, თუ მაგარი ბიჭი ხარ და გენდობიან. მე ჩემს მეგობართან ერთად, რომელიც იმ პერიოდისათვის ერთ-ერთ მდიდარ კაცად ითვლება, სასტუმროს აპარტამენტებში ვნებივრობ. საღამოს კი, მთელი ეგრეთ წოდებული მაგარი ბიჭები, თავიანთი ოჯახებით, ან საყვარლებით, სასტუმრო „შემჩუქინის“ რესტორანში ვერთობით.

არის ერთმანეთის ჯინაზე რაც შეიძლება გრძელი სუფრების გაშლა, რომელზეც სურსათ-სანოვაგე სართულებად დაუწყვიათ. ჩემი თვალით ვნახე, ერთი ძალიან მდიდარი ლენინგრადელი კაცი, თავისი ოჯახის წევრებს როგორ აჭმევდა კოვზებით ხიზილალს. მტრების ჯინაზე, ვითომიცდა დიდი პატივისცემის ნიშანად ერთმანეთს ურიკებზე დაწყობილ შამპანურებს უგზავნიან.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ეპოქის დაშლის ბოლო წლებია, ამიტომ მდიდარი ხალხის აღვირახსნილობამ პიკს მიაღწია, რადგან ფულით უკვე ყველას და ყველაფრის ყიდვა შეიძლება.

მასესენდება ან გარდაცვლილი ერთი ბიზნესმენის სიტყვები: „ჩემი გივი, ფულით ყველაფრის ყიდვა არ შეიძლება, მაგრამ დიდი ფულით ყველას და ყველაფრის იყიდი“. მერე, მე დავრჩენდი, როგორ სცდებოდა ამ სიტყვების ავტორი, რადგან იგი არნახულ ფულს იხდიდა ერთ ბინძურ საქმეში. ეს საქმე მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

დღის თორმეტი საათიდან პლაზზე, სადაც შესვლა უბრალო მოკვდავთ არ შეუძლიათ, მხოლოდ ნინა ღამეს მაგრად გამომთვრალი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი ცოცხალი ღერძებივით თვლემენ შეზღუდვებზე, ხოლო მათი „სიცოცხლეები“ ერთმანეთში, ჭორაობენ და ნინა ღამის საოცრებებს არჩევნ. ერთ ინტელიგენტს ვერ ნახავთ მთელ ამ ნაკრებში.

ინტელიგენცია საწოლში ორ მანეთს იხდის სოჭის მთებზე მოფენილ სახლებში, საიდანაც დილა ადრიან ჩამოდიან და ქალაქის საერთო, ქვიან პლაზზე დაფენილ პირსახოცებზე წვანან და მზეს ეფიცენტიან. ვის არ ნახავთ აქ: დიდი მეცნიერიდან დაწყებული უბრალო ექიმითა და ინჟინრით დამთავრებული. მათი საუბრის მოსმენა დიდი ფუფუნებაა.

ერთხელ გავიფიქრე, მართალია „შემჩუქინის“ პლაზა და ქალაქის პლაზს ერთმანეთისგან გერმანიის კედელი არ ჰყოფს, მაგრამ ეს უხილავი კედელი უფრო

ძლიერია, ვიდრე გერმანიის, რადგან „შემჩუქინის“ კედელში გამომწყვდეული ფულის მშოვნელები თავისი ოჯახებით, უფრო შორს არიან, უხილავი კედლის მეორე მხარეს მყოფთაგან, როგორც შინაგანი მრნამსით, ასევე ინტელექტით.

გერმანიის კედელს ერთი მშვენიერ დღეს დააგნერევენ, მაგრამ ამ ფულით განებივრებულ კაცებსა და ინტელიგენციას შორის სამუდამოდ არის ხიდი ჩატეხილი-მეთქი.

ერთი სიტყვით „შემჩუქინის“ სასტუმროში დიდი გრიალია, ხოლო გარყვნილება უმაღლეს „შეკალას“ აღწევს.

ერთი ძალიან სუფთად და კოპნიად ჩატმული სიმპატიური ახალგაზრდა ვაჟი, თავისი „შემჩუქინის“ მცხოვრები ნაცნობების წყალობით, ხან ერთისა და ხან მეორესაგან ნაშოვნი საშვით, ჩვენს პლაზზე შემოდის. კარგი ვინმეა: კარგად ცურავს, მაგიდის ჩიგბურთში ყველას ჯაბის, ხოლო მინი ფეხბურთში ბადალი არ ჰყავს. საღამოს, რესტორანში, სადაც უდაცოდ ვიღაცის დაპატიუზებულია, ძალიან კარგად ცეკვავს. ყველას ყურადღებას იქცევს თავისი ზრდილი მოქადაციით. ნელ-ნელა ჩვენც დავუახლოვდით. ერთი-ორჯერ რესტორანშიც დავპატიუზოთ. მერე კი მის გარეშე სუფრა ვეღარც წარმოგვედგინა. საოცრად ენაწყლიანს, თითქოს მარგალიტები სცვივა პირიდანო, თანაც იუმორის საოცარი შეგრძნება აქვს.

ერთხელ ვკითხე, „ჩარლი?“ — რომელ სასტუმროში ცხოვრობ? სასტუმრო „თეთრი გედიო“ — მიპასუხა — ერთი ოთხი დღე სასტუმრო „გენერალ პრო-ხომენკოშიც“ ვიცხოვრე.

უცებ გადავწყვიტეთ რესტორან „კავკაზსკი აულ-ში“ გვესადილა. რადგან პლაზზე ჩვენს ახალ მეგობარს დილით ვერ შევხვდით, ჩვენს ადმინისტრატორს ვთხოვე სასტუმრო „თეთრი გედის“ ტელეფონის ნომერი მოეცა.

ცნობარში ძებნის შემდეგ ცალსახა პასუხი მივიღეთ, — ასეთი სასტუმრო სამწუხაროდ, სოჭში არ არსებობს.

— როგორ არ არსებობს, ჩვენი მეგობარი ცხოვრობს.

— ცდებით, ბატონო - მიპასუხა ადმინისტრატორმა.

— მაშინ, იქნებ სასტუმრო „გენერალ პრო-ხომენკოში“ ნომერი მითხრათ.

— ასეთი ცნობარის გარეშეც ვიცი, რომ სოჭში არასდროს ყოფილა.

კუდამოძუებული გამოვბრუნდიდა ის იყო, ნომერში ასვლას ვაპირებდი, რომ ვესტიბიულში განათებული

სახიანი, გამოწყებილი „ჩარლი“ შემოვიდა, — როგორ ბრძანდებით, — მითხრა და ალალად გადამეხვია.

არ არსებული სასტუმროების შესახებ არაფერი მითქვამს.

— რა კარგია, რომ მოხვედი. „კავკაზიკი აულში“ ვისადილოთ-მეთქი და მართლაც, ნახევარ საათში უკვე იქ ვექიფობდით.

ლამის ორ საათზე, როდესაც ქეიფი მორჩა და სუფრა აიშალა, მას ჩვენს მანქანაში ჩაჯდომა და სასტუმრომდე მიყვანა შევთავაზე.

— არ მინდაო, მითხრა, ოფიციანტი ნინას დაველოდები, იქნებ ჩემთან ნამოსვლაზე დავიყოლიოო.

— შენი საქმისა შენ იცი. — ამ სიტყვით ერთმანეთს დავცილდით. ჩვენი ძმაკაცის მანქანიდან ტაქსში გადავსხედით, მის მძლოლს კი ვთხოვე, ჩუმად „ჩარლიკას“ გაჰყოლოდა უკან და გაეგო სად ცხოვრობდა ჩვენი საიდუმლოებით მოცული მეგობარი.

ორი საათის შემდეგ მძლოლმა გამაღვიძა: — ბატონ გივი, ისეთ რამეს გეტყვით, შეიძლება გიუი გეგონოთ.

— მომიყევი, ასეთი რა ნახე, შე კაცო.

— რა ვნახედაჩვენს „ჩარლიკას“ სოჭის სასფლაოზე ვიღაცის საფლავზე სძინავს. იმ საფლავზე თეთრი გედის მონუმენტია გამოკვეთილი, სწორედ გედის ჩაღრმავებულ ადგილზე, პლედი აქვს გადაფარებული და სძინავს.

— ვერ დავიჯერებ. მართალია, თუ სიგიჟეს ჰყვები?

— მივუგა გაევირებულმა.

— თუ არ გჯერათ, ნამომყევით და განახებთ.

— არა, ახლა არ გვინდა. დილით წავიდეთ, როცა იქ აღარ იქნება.

— კი ბატონოო, — მიპასუხა მძლოლმა და დასაძინებლად წავიდა.

მთელი დამე არ მიძინია, ყველაფერს წარმოვიდები, ამის გარდა. დილის საუზმის შემდეგ პლაზზე ჩამოვედი. ვხედავ, „ჩარლიკა“ უკვე ჩოგბურთს თამაშობს, ე.ი. სასაფლაოდან წამოსულა.

მე დრო ვიხელთე, მძლოლს მანქანაში ჩავუჯექი და სასაფლაოს მივაშურე. მძლოლმა ზუსტად იმ საფლავთან მიმიყვანა, სადაც საკმაოდ დიდი ზომის თეთრი გედის მონუმენტი დავინახე წარწერით: „თამარა უსპენსკაია. ჩემი ცხოვრების თეთრ გედს ანდრიასაგან“. ამ საფლავის გვერდით ერთი გადახურული საფლავი შევამჩნიე, რომელშიც გრძელი ხის სკამი იდგა. სკამის გვერდით დიდი ზომის მარმარილოს მაგიდა დაედგათ. ხოლო ობელისკზე სამხედრო ფორმაში გამოკვეთილი გენერალი მოსჩანდა, ქვემოთკი წარწერა: „გენერალი პროხომენეკო“.

სასოწარკვეთილებამშემიპყრო. ნუთუმართალია?!. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ თავზე სასაფლაოს დარაჯი წამოგვადგა, — ვის ეძებთო...

მძლოლმა მიუგო: — ჩვენს მეგობარსო.

— მას ხომ არა, აქ ლამეს რომ ათევს?

— დიახ, მას, — ვუპასუხე

— დიდი უცნაური ბიჭია. რამდენჯერ შევთავაზე, ჩემს ჯიხურში დაწექი-მეთქი, მაგრამ უარს მეუბნება,

აქ სუფთა ჰაერზე მირჩევნია, თანაც ბალეტის სტუდია მაქეს დამთავრებული და ბალერინის გვერდით კარგად ვგრძნობ თავსო. წვიმის დროს კი გენერალ პროხომენეკოს გადახურული საფლავის სკამზე იძინებს. ისე, წესიერი ბიჭია. ყოველ დამით მოსული არ არის, რომ ორ მანეთს მიტოვებს.

— პირველად ვნახე, კაცს სასაფლაოზე ეძინოს და ასე სუფთად იყოს ჩაცმული. — გამოვთქვი ჩემი მოსაზრება.

— ტანსაცმელი ჩემს ჯიხურში უკიდია, ხოლო შარვალს, ყოველ დილით, პროხომენეკოს საფლავის მარმარილოს მაგიდაზე აუთოებს, რადგან საფლავს ელექტრო შესაერთებელი აქვს.

— კი მაგრამ, „შტეფსელის“ გაკეთება ვის დასჭირდა საფლავზე? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— გენერლის მეუღლემ შუქის ასანთები დააყენებინა, შემთხვევით ორმაგი აღმოჩნდა. ეს „შტეფსელიც“ სწორედ ამიტომ არის აქო.

გაოცებისაგან ენა მუცელში ჩამივარდა. ფიქრებით სადღაც შორს წავედი.

ჩემი კასტის ყველა ადამიანი, რომელიც ფულში იხრიბოდა, შემზიზდა.

— ვაი, ჩვენს ყოფას-მეთქი, წარმოვთქვი, დარაჯს 10 მანეთიანი ვაჩუქე და ვთხოვე, ჩვენს ვოიაზზე არაფერი ეთქვა.

— კი ბატონოო, წარმოსთქვა და დავცილდით ერთმანეთს. იმ დღიდან „ჩარლიკას“ ნომერი გავუკეთე „უმეჩუჟინაში“ და ბოლო ერთი კვირა ერთად ცხოვრება შევთავაზე.

— არ მინდა, მე ისევ ჩემს სასტუმროში ვიცხოვრებო, — მითხრა „ჩარლიმ“.

— სად გეძებ ყოველ წუთს. სჯობს ისევ აქ იცხოვრო, რომ სულ ერთად ვიყოთ.

იმ დღიდან მოყოლებული, ჩვენი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ძალიან ნიჭიერი იყო და მისგან საინტერესო მწერალი დადგა, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში კითხულობენ.

ეს ამბავი ერთ-ერთი ნიგნში შეიტანა ნოველად. როცა წავიკითხე, აზრი მკითხა, მომენტია თუ არა, ჩემგან დადებითი პასუხის მიღებისას გამომიტყდა, რომ ეს ამბავი ნამდვილი იყო და საკუთარ თავზე ჰქონდა დაწერილი.

— ვიცი. — ვუთხარი მე.

— მეც ვიცი, რომ იცი და არასდროს გამიმხილე, გული არ მატკინე. ამიტომ არის, რომ ძალიან მიყვარხარ. დარაჯი ყველაფერს მომიყვა.

მე მის ჭაღარა თმასა და უკვე მიმქრალ. გადაღლილ თვალებს შევხედე და კიდევ ერთხელ მივხვდი, რა ძალა ჰქონია სიკეთით ცხოვრებას.

ამ წიგნის დაბეჭდვიდან დიდი ხნის შემდეგ, როცა იგი გარდაიცვალა, ჩემი დაჟინებული თხოვნით მისმა ცოლ-შვილმა საფლავის ქვაზე თეთრი გედი ამოატვიფრინა, წარწერით: სასტუმრო „თეთრი გედი“.

ამ ქვეყანაზე არავინ იცოდა, რას ნიშნავდა ეს წარწერა, უფლის, ჩემიდასასტუმროს ახალი ბინადრის გარდა.

ოუბის ხელი მთის მუჭა სახლების დაზიანების შეფასება


საქართველოს პურავი

ღების თემი ამჟამად მხოლოდ ერთ სოფელს -- ღებს მოიცავს და გადაშლილია კავკასიონის მთავარ და შოდის ქედებს შორის. თემს უჭირავს რიონის ხეობის 25 კილომეტრიანი უკიდურესი ზემო წელი და მდინარე ჩვემურის ხეობა მთლიანად, რიონ-ჭანჭახის ქვაბულის დასავლეთი ნაწილი 355 კმ² ფართობით. სოფელი მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე. ჭარბობს მაღალმთიანი რელიეფი.

თემი მოიცავს სამ სოფელს: დიდი ღები, პატარა ღები და გონა. ამჟამად, გონა დაცარიელებულია მოსახლეობისაგან, წინაპარებისახლებს ზაფხულობით სტუმრობენ გონელები. ტოპონიმები: დიდი ღები და პატარა ღები პირობითი სახელებია, ასე ანსხვავებენ რიონის მიერ გაჭრილ სოფლის ორ ნაწილს.

თემი ზღვის დონიდან 1800 მეტრზე მდებარეობს. მთავარ გზამდე იგი დაშორებულია 30 კმ-ით, რეგიონის ცენტრალური -- 60 კმ-ით, დედაქალაქამდე -- 480 კმ-ით.

ღებში მიგრაციის შედეგად ძლიერ შემცირდა მაცხოვრებელთა რაოდენობა. 500 მოსახლეზე გათვლილ სკოლაში ახლა 45 ბავშვი სწავლობს. თემში არსებობს საბჭოთა პერიოდში აგებული საბავშვო ბალი, მაგრამ ამ დროისთვის იგი არ ფუნქციონირებს. ღებში მდებარეობს ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი



4374 წიგნს მოიცავს და 160 მკითხველს ემსახურება. მოსახლეობას ემსახურება ამბულატორია და აფთიაქი.

ჩრდილოეთი-კავკასიონის წყალგამყოფი ქედით ღებს ესაზღვრება ოსეთი და ყაბარდო-ბალყარეთი. ოსეთან დამაკავშირებელია კირტიშის უღელტეხილი, რომელსაც ჩვემურის სათავიდან ურუხის ხეობაში გადავყავართ. ყბარდო-ბალყარეთიდან კი ფასის მთის უღელტეხილი, რომელიც რიონისა და მდინარე ჩერექის ხეობებს აკავშირებს. დასავლეთით ღებს ემიჯნება ქვემო სვანეთის ზემო – ლაშეთი, ლეჩეუმის ქედით. ღები სვანეთს, კერძოდ, ვაცინვერის გადასასვლელით უკავშირდება. სამხრეთით – შოდის ქედით ღებს საზღვრავს რაჭის სოფლები: უნერა და საკაო. რომლებთანაც დამაკავშირებელია: შოდის, სეისურისა და საკაურას გადასასვლელები. აღმოსავლეთით კი ღების მოსაზღვრეა მთარაჭის სოფელი ჭიორა.

ღები ყოველი მხრიდან შემოფარგლულია მაღალი მთაგრეხილებითა და მწვერვალებით, რომელთაგანაც აღსანიშნავია: დაბო (4314 მ.), ნითელი (4258 მ.), წინვარგა (4139 მ.), ედენა (3879 მ.), ზოფხითო (4009 მ.), პატარა ედემა (3879 მ.), თაიმაზი (3855 მ.), შოდა (3608 მ.), ფასა (3780 მ.), ისკარა (3767 მ.), დონგურა (3768 მ.), სანარცხია (3600 მ.) და სხვა მწვერვალები.

სოფლის ტერიტორია მდებარეობს ზღვის სუბტროპიკული, ნოტიო ჰავის ოლქში. დამახასიათებელია უხვთოვლიანობა და გამყინვარება, რაც მაღალმთიანი ნოტიო ჰავის საწინდარია. წყალდიდობა გაზაფხულზე იცის. წლიური ნალექების რაოდენობა საშუალოდ 1500 მმ-მდე აღნევს.

სოფელი ძალზე მდიდარია შიგა წყლებით. მთავარი მდინარე, რიონი სათავეს იღებს ფასის მთის კალთაზე. სიდიდით მეორე მდინარე, ჩვემური სათავეს იღებს კირტიშის მყინვარიდან. მისი სიგრძე 16 კმ-ია. ჩვემური რიონის მარცხენა შენაკადია და ღებში დედამდინარეს უერთდება.

მდიდარია ღები მცენარეული საფარით. ტერიტორიის დაახლოებით 80-90 კმ² ტყებს უკავია. ტყის ქვედა ზოლში უმეტესად გავრცელებულია: წიფელი, მუხა, რცხილა, ზედა ზოლში კი – წიფელი, ლეკი, არყი, ცირცველი (ჭნავი). ალპურ ზოლში დიდი ფართობი უკავია დეკას ბუჩქნარს. ძალზე დიდ ფართობები გადაჭიმული სათიბ-საძოვრები და ალპური

უეურმნო მთის რაჭა



მდელოები.

„ლების“ პირველი მოხსენიება საისტორიო-წერილობით წყაროებში 1503 წელს განეკუთვნება. საუკუნეთა მანძილზე იგი სვანეთის შემადგენლობაში შედიოდა. ამრიგად, ტოპონიმ „ლების“ სათავე სვანურ გარემოში უნდა ვეძიოთ.

მიგვაჩნია, რომ „ლები“ სვანური სიტყვაა და ნიშანავს როფს (გეჯა) ანუ ჩაღრმავებულ ადგილს, რასაც კარგად ამართლებს სოფლის რელიეფი.

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე და II ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოს მოსახლეობის კულტურამ და მეურნეობამ ძლიერ მაღალ დონეს მიაღწია, მაგრამ განვითარების დონე ყველა რაიონში ერთნაირი არ ყოფილა. განსაკუთრებით დაწინაურებულა მთიანი მხარეები – თრიალეთი, რაჭა, ყვირილას ზემო ნაწილი, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ზოგიერთი მხარე და შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი.

აღნიშნული პერიოდის კულტურის ძეგლები კარგადაა წარმოდგენილი ბრილის სამაროვანზე. „ბრილი“ სოფელ ლების დასავლეთით მთებზე წყალთაშუა ტერასებზეა განლაგბული, რომლის სამაროვანიც რამდენიმე კულტურული ფენისგან შედგება. სამაროვანის უძველესი ფენა ეკუთვნის ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისს, ხოლო უახლესი, ახ.წ. III – IV საუკუნეებს.

ბრილის უბრწყინვალესი ძეგლების აღმოჩენა, გამომზეურება, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესწავლა-დამუშავება და აღნიშნული კულტურისთვის საერთო კავკასიური და საკაცობრიო მნიშვნელობის მინიჭება მჭიდროდაა დაკავშირებული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – ლების მკვიდრ გერმანე გობეჯიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობასთან.

ბრილის ტერიტორიაზე 1939 წლიდან დაიწყო

„რაჭულები“ №7

ძველი სამაროვანის არქოლოგიური გათხრა. სამაროვანი ოთხი ფენისგან შედგება, რაც იმას მოასწავებს, რომ იგი საუკუნეების განმავლობაში ყოფილა გამოყენებული. სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის რგოლები, ბრინჯაოს ბალთები, ბრინჯაოს კირკლები, ცხოველთა ქანდაკებები, ყელსაბამები, ბეჭდები, შუბის წვერები, სატევრები, საყურები, ქვის სამკაულებიდან სარდიონისა და გიშრის მძივები და სხვა.

ბრილის კულტურამ რამდენიმე ეპოქა (ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, ანტიკური ხანა) მოგვცა. რაც იშვიათი მოვლენაა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

1833 წელს საქართველოში იმოგზაურა და ღებს ეწვია ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერი დიუბუა დე მონპერე. მან ღების შესანიშნავი ჩანახატი დაგვიტოვა. ჩანახატებზე კარგად მოსჩანს ციხიკარს აღმართული ძველი ღების მაცხოვრის ეკლესის სილუეტი - ზედქალაქის კარგი გუმბათიანი საყდარი. დიუბუამ ეკლესის მოკლე აღნერილობაც დაგვიტოვა: „ეკლესია ღების ძველი და ძალზე სადაა. მას აქვს ოთკუთხა გუმბათი. ეკლესის შესასვლელი სავსეა ხარის რქებით, ისევე როგორც სხვაგან კავკასიაში, სადაც ყოველი რელიგიური დღესასწაული ხარის შენირვით ხდება. აკლდამები ზედაპირზე ეკლესის გარშემო არის განლაგებული, რომელიც სოფლის ყველაზე მაღალ ადგილზეა.“ დიუბუას ღების ეკლესიამ თავისი მშობლიური ნორი შატელის საყდარი მოაგონა.

მაცხოვრის სახელობის ეკლესია სიძველის გამო დაზიანებული იყო, ამიტომ 1840-იან წლებში დაანგრიეს, რის შემდეგაც სოფელმა ახალი უფრო მასშტაბური ეკლესია ააგო დაბლა – ჯვარიყანაში, 1850-იან წლების დასაწყისში.

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ხელმე-

უკურძნო მთის რაჭა

ორედ დაპყრობის და კომუნისტური რეჟიმის დამყარებას ათეისტური იდეების დამკვიდრებაც მოჰყვა, რამაც ეკლესიების გაუქმება და ნგრევაც გამოიწვია. ტაძარი, რომელიც „თეთრი ხომალდივით“ იდგა სოფლის შუაგულში და საუკუნე ამშვენებდა ლებს, 1950 წელს დაანგრიეს. XXI საუკუნის დასაწყისში, უფლის ნებით და ღების თემის მოსახლეობის სახსრებით შესაძლებელი გახდა მაცხოვრის ეკლესის ხელახლა აშენება იმავე ადგილზე, სადაც ტაძარი იყო აღმართული.

შუა საუკუნების მთარაჭის არქიტექტურული ფორმები საოცარ მსგავსებას ავლენენ სვანურ არქიტექტურასთან. შეიძლება ითქვას, ეს არცაა მსგავსება, არამედ -- იდენტურობა – გამორჩეა სვანური ხუროთმოძღვრებისა.

სვანური მურყვამის ტიპის სამ-ოთხსართული-ანი ლებური დურიანი სახლი ერთდროულად ითავსებდა საცხოვრებელი და საბრძოლო-თავდაცვით ფუნქციებს.

დურიანი სახლის პირველი სართული სამურნეო დანიშნულების იყო. მეორე და მესამე სართული – საცხოვრებელი, მეოთხე – შენობის დამაგვირგვინებელი სართული – ქორედი დუროებით კი, საბრძოლო ბაქანს წარმოადგენდა. გადახურვა ორფერდა სახურავიანი იყო. ქორედს 16 საბრძოლო დურის ატანდნენ (ოთხ-ოთხი ყოველ მხარეს).

დურიანი სახლის მეოთხე სართული – ქორედი მეტად შთამბეჭდავ სანახაობას ქმნის და საინტერესოა, როგორც არქიტექტურულად, ისე კონსტრუქციული თვალსაზრისით. იგი სახლს გვირგვინივით ადგას. ქორედი გამოსულია გარეთ 15-20 სმ-ით, რაც მეტ ლაზათს ანიჭებს ნაგებობას მთლიანობაში.

ღებში ჩვენს დრომდე შემორჩენილი იყო ერთი დურიანი სახლი, მაგრამ, სამწუხაროდ, ოთხი წლის წინ დაინგრა და მისგან ნაგრევები დარჩა.

ღების ხევში საბრძოლო დანიშნულების კოშკები დურიანი სახლის გვერდით და მასთან კავშირში შენდებოდა. დურიანი სახლის მესამე სართულის კედელში დატანებული კარი გვაფიქრებინებს, რომ მათ შორის უნდა ყოფილიყო გადასასვლელი, დამაკავშირებელი ხის ხიდი.

ღებური კოშკი უმეტესად 6-7 სართულიანი იყო. სიმაღლე დაახლოებით 18-20 მეტრი ჰქონდა. სიმაღლესთან ერთად კოშკი ვინოვდება გარედან, რაც მეტ სიმაგრეს აძლევს ნაგებობას. კოშკის დამამთავრებელი სართული საბრძოლო-თავდაცვით ბაქანს წარმოადგენდა თორმეტი დუროთი (ყოველი მხრიდან სამ-სამი დური). დასანანია, რომ ღებური თვალშეუდგამი კოშკებიდან მხოლოდ ერთიღა შემოგრძნია დღემდე – დედალვთისად წოდებული, რომელიც გასულ წელს შეკეთდა.

ღების თემის ტერიტორიაზე ძნელად მისადგომ შემაღლებულ ადგილზე საგუშაგო კოშკებს აგებდნენ. მათ შორის მანძილი დამოკიდებული იყო რელიეფურ თავისებურებაზე, ისე რომ კოშკებს შორის მხედველობა კარგი ყოფილიყო. დაცილება მათ შორის შეადგენდა დაახლოებით 2-3 კმ-ს. საერთო სიგრძე საგუშაგო კოშკთა სისტემისა 30 კმ-დე იყო გადაჭიმული, რომელიც ერთ მთლიანობაში მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრულ ანსამბლს შეადგენდა და ჩვენს წინაპართა მაღალი სამშენებლო კულტურის მაჩვენებელია.

საგუშაგო კოშკი სამ-ოთხსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა, რომლის ზომებიც სხვადასხვა იყო ადგილ-მდებარეობის მიხედვით. კოშკებში მეციხოვნები იდგნენ და ცეცხლის დანთებით აცნობებდნენ ხოლმე სოფლებს მოახლოებულ საფრთხეს. მდინარე რიონის ხეობაში საგუშაგო კოშკთა სისტემა ღებიდან იწყებოდა და გორიბოლოს მთავრდებოდა: ღები-წოხა-თევრეშო-სათხეურა-ხოფითო-ბრილი. მდინარე ჩვეშურის ხეობაში: ღები-კაისარეთო-ჩვეშო-კოდნარა I – კოდნარა II – ქვაციხე. ეს ის ადგილებია, სადაც ჯერ კიდევ კარგად შეინიშნება მათი ნანგრევები.

ღების სკოლის ისტორია

ღების სკოლის დაარსება, განვითარება და საბოლოო სახით ჩამოყალიბება განუხრელადაა დაკავშირებული XIX-XX საუკუნის ღების ისტორიის ნათელ ფურცელთან. სკოლამ განსაკუთრებული როლი შეასრულა მთარაჭებელთა ცხოვრებაში. ათასობით მისი მკვიდრი ეზიარა ამ სასწავლებელში ცოდნას. ღების სკოლამ თავიდანვე იკისრა მეტად მძიმე ტყირთი – მთარაჭებელთა წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა და სწავლა-განათლების დამკვიდრება ჩვენს კუთხეში, რაც დიდი წარმატებით შეასრულა.

ღების სკოლა დაარსებული იქნა 1868 წელს. 1872 წელს ღების ესტუმრა ინგლისელი მოგზაური და მთასვლელი გროვე, რომლის მონოდებული ცნობითაც ღებში უკვე არსებობს ერთნლიანი სკოლა. იგი ორსართულიან შენობაში იყო განთავსებული ადგილი ჯვართყანაში, რომელშიც ოციოდე მოსწავლე სწავლობდა. სკოლის შენობა სოფელს თავისი ძალებით აუშენებია. გროვე და მისი ჯგუფი ღამის გასათვად სკოლის შენობაში მოუთავსებიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ 1860-იანი წლებიდან მონინავე ქართველი მამულიშვილებისა და საზოგადოების ინიციატივით და ხელშეწყობით ბევრი პირველ დაწყებითი სკოლა გაიხსნა საქართველოში. განსაკუთრებულ მონდომებას ამ მხრივ იჩენს ქუთაისის გუბერნიის ქართველი ინტელიგენცია. სწორედ ამ დროს წერდა იაკობ გოგებაშვილი:

უეურმნო მთის რაჭა

„მთელს დედამიწის ზურგზედ ვერ მოძებნით იმისთანა კუთხეს, სადაც ხალხსა პქონდეს იმაზედ მომეტებული ნადიღი სწავლისა და ცოდნისა, როგორც არსებობს დასავლეთ საქართველოში.“ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება რაჭაში რამდენიმე სკოლის გახსნა, მათ შორის, ღებშიც.

პირველი ღებელი მასწავლებლები მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ: ოქროპირ ლობჯანიძე (პაატიანთი) და ალექსი გობეგიშვილი (ზვიდუკევითი), რომელთა მოღვაწეობამაც დიდი სიკეთე მოუტანა, როგორც სკოლას, ისე მთარაჭის საზოგადოებას. 1913 წელს ღების სკოლა ოთხელასიან სასწავლებლად იქცა და ახლად აგებულ მშვენიერ შენობაშიც დაიდო ბინა (ნაგებობა დღესაც დგას სოფლის ცენტრში). ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც საგრძნობლად აამაღლა სწავლის დონე.

1919 წელს უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, გარდაიქმნა არასრულ საშუალო სასწავლებლად – შეიძლებად. იმ წელს სკოლამ 100-მდე მოსწავლე მიიღო პირველ კლასში, რაც მეტად დიდი მიღწევაა იმ დროისთვის.

1934 წელს ღების სკოლა სრულ საშუალო სასწავლებლად იქცა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

საამაყოა, რომ კავკასიონის მთავარ ქედსა და შოდის ქედს შორის მოქცეული ბუნების სიმშვენიერები ჩაფლული ულამაზესი სოფელი ღები, სულ მცირე, 4500 წლის ისტორიას ითვლის და დღესაც, ისე როგორც უნინ, ბურჯად უდგას საქართველოს ჩრდილოეთის მხრიდან.

ღების სკოლა დღეს

რა ხდება დღეს ღების საჯარო სკოლაში? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ტელეფონით სკოლის დირექტორს ქალბატონ ნუნუ ლობჯანიძეს დავუკავშირდით. მისი თქმით, სკოლაში დღეის მონაცემებით 48 მოსწავლეა. აქედან 4-მა მეთორმეტე კლასიდაამთავრა. მათშორის საატესტატოგამოცდაზე 2 ჩაიტრა. პრობლემა ტექნიკურ საგნებშია. თუმცა ბავშვების ბრალი არაფერია. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ამდენი წლის მანძილზე თავდაუზოგავად იღწვის დადებითი შედეგის მისაღწევად, მაგრამ კონკრეტული საგნის სპეციალისტების არ ყოფნის გამო, სკოლას ფონს გასვლა უჭირს. ბუნებრივია, ასეთი რთული კლიმატის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდა კადრები სოფლად სამუშაოდ არ წავლენ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობიდან სამწუხაროდ, მეტი რესურსი აღარ არის. ამასთან, გულსატკენია ის ფაქტი, რომ სკოლაში წელს პირველი კლასი არ გაიხსნება.

სკოლას სჭირდება ინფრასტრუქტურის მოწე-სრიგება, დირექტორთან საუბრისას უმთავრეს პრობლემად საკვამური მიღების შეცვლა დასახელდა.

მოგეხსენებათ, ღებში 6 თვე ზამთარია, ღუმელი აქ გაუნელებლად გიზგიზებს, ამ დროს კი იქურობა კვამლშია გახვეული. გარდა ამისა, შენობის პირველი სართული გასარემონტებელია. შენობა მთლიანად საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. იქნებ ვინმებ გულთან მიიტანოს მათი გასაჭირი, განა რა თანხებს უნდა უკავშირდებოდეს ასეთი მცირე კომპლექტიანი სკოლისთვის ამ პრობლემის მოხსნა.

როგორც ქალბატონმა ნუნუმ აღნიშნა, სკოლას აქტიურად უდგას მხარში ს.ს. „ზოფხითო გოლდის“ მთავრი გეოლოგი კახა კუჭავა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა და გააუმჯობესა სკოლის ინფრასტრუქტურა. 4 წლის წინ ბატონმა თენგიზ გავაშელმა თურმე სკოლის განვითარების ფონდს 1000 ლარი შესწირა. სამწუხაროა, რომ სხვათა თანადგომას დირექტორი ვერ იხსენებს.

ქალბატონი ნუნუ პროფესიით ფილოლოგია, ორ-მოცი წელია მოსწავლეთა აღზრდა-განვითარებაზე ზრუნავს. ათი წელი სკოლის დირექტორად მუშაობს. სწუხს, რომ სკოლაში სპეციალისტების ნაკლებობაა, არ ჰყავთ უცხო ენის, ფიზიკულტურის, ფიზიკა-მათემატიკის, დაწყებითის სპეციალისტები. შესაბამისად ამ საგნებს სხვა პროფესიის მასწავლებელი ასწავლიან.

აი, ამ პირობებში, ქალბატონი ნუნუს და თითოეული პედაგოგის დამსახურებაა, რომ ბავშვები ქვეყნის სასწავლო ეროვნულ პროგრამას არ ჩამორჩნენ და მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურებსა თუ ლომიბიადებში. ღების სკოლის ერთ-ერთ მოსწავლეს მიმდინარე სასწავლო წელს ლოიმიადაში გამარჯვებისათვის დიპლომი და სიგელი გადაეცა, ასევე უფროს კლასელთა მიერ დამუშავებული იქნა თემა — აკაკი და XXI-ე საუკუნე. ახლახანს ღებელმა ბავშვებმა ონის კულტურის სახლის სცენაზე ვაჟა-ფშაველას საიუბილეო ღონისძიება გამართეს. მათ იმდენად შეისისხლხორცეს მთის კაცის მრნამსი და ბუნება, გეგონებოდათ ეს ბავშვები სულ სცენაზე დგანან.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი თვითშემოქმედებითაც გამოირჩევა, წერენ, ხატავენ, მღერიან, ცეკვავენ...

ღების საჯარო სკოლა სოფლის და არა მარტო სოფლის, მთის რაჭის მთავარი სასიცოცხლო არტერიაა, და თუ ამას კარგად გავაცნობიერებთ, უნდა მივხვდეთ, რომ ღების სკოლის არსებობა და მისი ხელშეწყობა უდიდესი ეროვნული დირექტულებაა და ვინც მის განვითარებაზე ფიქრობს, ეროვნული გმირები არიან.

ღების სკოლის დირექტორს
ტელეფონით დაუკავშირდა
ნინო რახვამაზილი

ერთი ქსღოს ისერის

66 გავამალის ცხრვრების გზა



სოფელი დები მაღალმთიანი რაჭის ტერიტორიაა - ონის ცენტრიდან 35 კილომეტრითაა დაშორებული. გზა ისეთია - თაგვი კისერს მოიტეხს - ჯაყჯაყა და დანგრეული, მაგრამ გულდაგულ მივდივართ - გვინდა ჩვენი თვალით ვნახოთ სოფელი, რომლის სიძლიერეზე ოდესლაც ლეგენდებს ჰყვებოდნენ, აქაური კაცის ბუნება, იუმორი, ფოლკლორი კი ონში ყველას პირზე აკერია. ჩვენ ბევრი ვართ - ერთი კვირაა სტუდენტური პრაქტიკა გვაქვს რაჭაში და ამ ულამაზესი კუთხის ისტორიაზე, ბუნებაზე, ხალხზე, პრობლემებზე უნივერსიტეტში მასალა უნდა ჩავიტანოთ. დების გარეშე კი, როგორც გვითხრეს, ფონს ვერ გავალთ - ეს ის სოფელია, რომელიც საისტორიო წყაროებში 1503 წლიდან მოიხსენიება, დღეს მხოლოდ 150-მდეა შემორჩენილი და ისიც ძირითადად - მოხუცების წყალობით. ვიკიპედია გვეუბნება, რომ 2002 წლის აღნერით, დებში 492 კაცი ცხოვრობს, მაგრამ ეს მონაცემები უკვე გაზვადებულია - სოფლის შარაზე აქა-იქ თუ მოჰკრავთ თვალს ადამიანს... იშვიათად - ახალგაზრდას.

აჲა, ისიც - ცას გამოკიდებული ულამაზესი სოფელი... მთებს შორის ჩასმული, ხასხასასიმწვანით და საოცრად ლურჯი ცით, რომელიც ჩვენი ვიზიტისას მოქუფრული, ნისლიანი დაგვხვდა... მიმოხედავ და აგერ, ხელის გაწვდენაზეა მთის წვერი, რომელსაც ნისლი მხოლოდ წელამდე სწვდება და ჯერაც თოვლის ქუდი ახურავს... აქ

გაზაფხული გვიან მოდის, შემოდგომა - ადრე... ფიქრობ, რა ლამაზია?... მაგრამ აქ როგორ უნდა იცხოვო?... ტელეფონი ალაგ-ალაგ იჭერს, ინტერნეტი ... უფ, რა ვიცი... ვერა, ვერ ვიცხოვორებ... ნეტავ ისინი როგორ ცხოვრობენ, ვინც დარჩა, ვინც არ მიატოვა, ვინც ეს სოფელი შეინარჩუნა?.. ცოტა ხანში გავიფანტეთ... ყველამ თავისი სფერო მოიძია და წავიდა - უნდა ჩაწერონ, მოუსმინონ, გაეცნონ... მე სკოლას მივაშურე - ოდესლაც რაჭის რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს და მრავალრიცხოვან სკოლას... ახლა აქ ცოტანილა არიან - სულ რაღაც 46 მოსწავლე და რამდენიმე მასწავლებელი. აქეთ-იქით იხედები და ასკვნი, სხვა სოფლიდან ან რაიონიდან ყოველ დღე აქ ვერავინ ამოვა, არადა, სკოლაა - ერთი მოსწავლეც რომ იყოს, უნდა ასწავლო, ისედაც დაიცალა სოფელი... დიახ, ის ერთიც საზრუნავია, იქნებ სწორედ ისაა, ვინც არასოდეს მიატოვებს ამ არემარეს... იქნებ ისაა, ვიზეც გადავა ფეხვების სიმტკიცე... ჰოდა ასწავლიან... ის ქალბატონიც აქ ასწავლის: ნუნუ გავაშელი - სკოლის მასწავლებელი, არაერთი თაობის გამზრდელი, ბუნებით ლიდერი და შეუპოვარი ქალი, რომელმაც პროფესია აქამდე ორჯერ გამოიცვალა, ახლა მესამედ გამოსაცვლელად ემზადება თითქოს ჩვეულებრივი ისტორიაა, არაფრით გამორჩეული, მაგრამ აქ ასეთი ლიდერი ქალები არიან - ჩუმად მოფუსფუსენი, ძლიერნი, სოფლის ავის და კარგის გამგები, სადაც საჭიროა - გამწევნი და გამტანი. ისე, აქ ქალებს განსაკუთრებით პატივს სცემენ, მაგრამ არა მხოლოდ როგორც დიასახლისს, დედას და ბებიას, არამედ, ტრადიციულად, სოფლის თავსა და ლიდერს. ამას საუკუნეების წინანდელი ლეგენდაც გვეუბნება: დები ძალიან შეუწუხებია ბატონებს - სამ ძმა არეშიდეს. სოფელს, ვინმე ზვიად ლობჯანიძის მეთაურობით, შეთქმულება მოუწყვია და ორი ძმა მოუკლავს. მესამე ძმას კი გაუსწრია და რიონზე ცხენით გადასვლა განუზრახავს. მას ღებელი ქალი - დოდუკი დასდევნებია და წყალზე გასვლა უთხოვია არეშიძისთვის. ცხენზე შემოუსვამს ბატონს დოდუკი. შუა რიონში ქალს ცხენიდან გადმოუგდია

არეშიძე და ორივე რიონის ტალღებს წაუღია. სწორედ ამ დოდუკის დაუბარებია ანდერძად: თუ არეშიძეს მოვკლავ, ტაბლა (კვერი) გამომიცხვეთ, რომ ჩემმა სულმა სიმშვიდე იგრძნოსო. ლებელები ამ ანდერძს დღემდე ასრულებენ - ჭირისუფალი საკურთხის დამზადებისას ორ ტაბლას დოდუკის მოსახსენებლად აცხობს. ქალბატონი ნუნუ სოფელში ცნობილია, როგორც მისაბაძი დიასახლისი, ძლიერი, მიზანდასახული, მებრძოლი და პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე პიროვნება - ლიდერობის ყველა თვისებით. ის ლებში დაიბადა... სკოლა 1979 წელს დაამთავრა და შემდეგ სოხუმის ინსტიტუტში ტექნოლოგის ფაკულტეტზე ჩააბარა. 1987-ში უნივერსიტეტი დაამთავრა და იმ რვაკაციან ჯგუფში მოხვდა, რომელთაც ასპირანტურაში უნდა ჩაებარებინათ. მაშინ ასპირანტურაში ჩაბარება გადადო, რადგან განაწილების შემდეგ (ასე ხდებოდა თურმე საბჭოთა დროს), სოხუმის საკონსერვო ქარხანაში ცვლის ინუინრად დაიწყო მუშაობა. 1989 წელს მამა გარდაეცვალა და ასპირანტურაში ჩასაბარებლად სოხუმში ვეღარ დაბრუნდა. მალე ომიც დაიწყო და ღებს შემორჩა. ცოტა ხანში კი ამავე სოფელში ვეფხია გავაშელზე გათხოვდა. ამბობს, რომ ძალიან გაუმართლა, ასეთი ქმარი რომ შევხდა - განათლებული, ჭკვიანი და მეოჯახე (ბატონი ვეფხია რამდენიმე წელი ღების რწმუნებულიც იყო, წერს ლექსებს და 2 კრებულის ავტორიცაა). იმ ფაქტს, რომ ოჯახი ღებიდან ქალაქში ვერ წამოვიდა, ქალბატონი ნუნუ ბედს მიაწერს, თუმცა როგორც ამბობს, განვლილ ცხოვრებაში სანახებელი არაფერი აქვს - სოფელსაც პატრონი უნდა. ნუნუ გავაშელი ის ადამიანია, რომელიც გამონათქვამს - „სწავლა სიბერემდეო“ მთლიანად ამართლებს. სწავლობს, რომ ასწავლოს... როგორც თავად ამბობს, სოფლის მიტოვება აზრად არ მოსვლია. ისე, სათქმელად ადვილია „ისწავლე და ასწავლე“, მაგრამ მის ბიოგრაფიას რომ გაეცნობი, მიხვდები - თუ ადამიანი მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია. ნუნუ გავაშელი 2004 წლიდან ღების საჯარო სკოლაში გერმანულს ასწავლის. ამბობს, რომ სპეციალობით ქიმიისა და ბიოლოგის სპეციალისტია, თუმცა იმ ხანებში სკოლაში ამ საგნის მასწავლებლები უკვე ჰყავდათ. 2000-იან წლებში სოფელში გერმანულის მასწავლებლის ადგილი გათავისუფლდა. რა უნდა ექნა? ადგა და დაიწყო გერმანულის სწავლა - იყიდა წიგნები, ქართულ-გერმანული ლექსიკონი და სულ ნულიდან - ანბანიდან ისწავლა ჯერ წერა - კითხვა, მერე ენა და მერე მისი სწავლების მეთოდები. ახლა ამ პერიოდს ღიმილით იხსენებს და ხუმრობს: „მე

რომ ვიწვალე, დალი ფანჯიკიძეს (ქალბატონი დალი გერმანულის უპადლო მცოდნე, მთარგმნელი, თსუ-ის პროფესორი იყო წლების განმავლობაში) არ უწვალია იმდენიო.“ გერმანული წიგნების კითხვაც რომ შეძლო, სკოლის დირექტორს შანსის მიცემა სთხოვა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა და დღემდე გერმანულს მასწავლებელია, თუმცა ახლა სხვა პრობლემა დაუდგა - ეს ენა დღეს მხოლოდ დამამთავრებელ მეთერთმეტე, მეთორმეტე კლასებში ისწავლება, შემდეგ კლასებში კი სკოლის სასწავლო პროგრამიდან გერმანულის სწავლება ამოიღეს და ქალბატონი ნუნუ - საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგი, ისედაც ადამიანებისგან დაცლილ სოფელში სკოლის გარეშე რჩება, ახალი მასწავლებელი კი სოფელში კი არა, ონშიც სანთლით საძებარია. რა უნდა ქნას ასეთ დროს უნარიანმა ადამიანმა? - ან გულ-ხელი დაიკრიფოს და წუნუნს მოჰყვეს, ან ძველ გზას დაადგეს და მაგალითი აჩვენოს ახალგაზრდობას - თუ კაცი რამეს მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია. ჰოდა, ქალბატონმა ნუნუმაც სხვა გამოსავალი იპოვნა - ივლისში პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე გადის, რომ სერტიფიკატის აღების შემდეგ სკოლაში დაწყებითი კლასის ხელმძღვანელი გახდეს. ამბობს, რომ სასწავლი უამრავი მასალაა, ცოტა გაუქნელდა კიდეც მომზადება, მაგრამ მთელ თავისუფალ დროს მეცადინეობაში ატარებს და საკუთარი თავის იმედი აქვს. არ არის ნუნუ გავაშელი თვითმმართველობის წევრი, მაგრამ ლიდერია - სოფლის ლიდერი, პატივსაცემი და ჭკუის საკითხავი ქალი. ჩემთვის ეს ის ადამიანია, რომელიც საქართველოს დღეს ძალიან სჭირდება - ოჯახის ბურჯი, საზოგადოების სული და გული, ენერგიული, უშიშარი. ქალბატონი ნუნუ - კარგიდიასახლისიდა მეოჯახე, მეუღლესთან ერთად დღეში თექვსმეტ სულ საქონელს უვლის, ბაღშიც მუშაობს, სოფლის ჭირ-ვარამსაც იზიარებს და ისეთი ლამაზია, თვალს ვერ მოსწყვეტ... ის ორი შვილის დედა და თავისი აღზრდილი შვილებით ამაყობს. სახლის მეორე სართული სავსეა წიგნებით. თაროებზე შემოლაგებულ მხატვრულ ლიტერატურასა და ნარკვევებს შვილების სიგელები და ვერცხლის მედალი ამშვენებს. დღეს ნუნუ გავაშელის ქალიშვილიც და ვაჟიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ. ღებში დარჩენილი დედა მათ მომავალზე დიდ იმედს ამყარებს, ოღონდ ზუსტად იცის, რომ მისი შვილები ამ სოფელს არ მიატოვებენ - ღები არ უნდა დაიცალოს.

სოფიო სათავისი

ადგილის დედის გამომახილი

„უძრავი ან აქციონა აქტუალურის!“



უეცრად გაწვიმდა, ისე, როგორც აქ, მთიან რაჭაში იცის – კოკისპირულად. მანქანა სავსე იყო, თუმცა გულგრილად ვერ დავტოვეთ მოხუცი, რომელიც გაჩერებაზე იდგა და ხელს გვიქნევდა. ჩვენი დანახვა გაუხარდა, თქვენ რომ არ გაგეჩერებინათ, 9 კილომეტრი ფეხით უნდა გამევლოთ. ქალბატონი თამარ მეტრეველი სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა, სასიხარულო ბევრი მოიგონა, პრობლემების გასაცნობად კი თავისთან, სოფელ ნიგავზებში დაგვპატიუა.

76 წლის თამარ მეტრეველი-გოგრიჭიანი კარ-მიდამოს მათვალიერებინებს, თავის მოტანილ ფიჩებს და თივას მაჩვენებს.

„ვინმეს მივცემ 20 ლარს, მოვათიბინებ და მერე ზურგით მომაქვს ეს თივა. ფიჩესაც ვაგროვებ, მაგრამ, აპა, ამით ზამთარს ხომ ვერ გავატარებ. სანამ ბებია-ბაბუა და მშობლები იყვნენ ცოცხლები, ლინოც გვქონდა, ბელელიც. ერთ ვენახში 32 გიდელი (ზისგან მოწნული ყურძნის ჩასაყრელი) ყურძნი იკრიფებოდა. ეს სახლი დედაჩემის იყო, ვერ მივატოვე აქაურობა და ისევ დავბრუნდი. ზამთარში ონში მივდივარ შვილთან, მეშინია აქ გაჩერების,“ — ამბობს ქალბატონი თამარი.

ადგილობრივი მოსახელობა ზამთარში სოფლებს ტოვებს და ქალაქში მიდის, ძირითადად, აქ არსებული მძიმე სოციალური პრობლემების გამო. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც სხვაგან წასასვლელი არ აქვთ და სოფელში დარჩენა უნდევთ.

ჩემი მასპინძელი თამარი მარტო ცხოვრობს.

ზაფხულში შვილიშვილები სტუმრობენ და თავისი მოყვანილი სოფლის პროდუქტებით უმასპინძლდება. ამბობს, რომ საქმის კეთება არ ეზარება:

„24 წლის განმავლობაში ბიოლოგიის მასწავლებელი ვიყავი. სოფლის საქმისა კი იმდენი ვისწავლე, რომ ჩემი ხელით მომყავს ყველაფერი. სამი შვილიდა შვიდი შვილიშვილი მყავს. ზაფხულში ისინი რომ მოდიან, რძეს, ყველს, ქათამს, კვერცხს ვახვედრებ. შემოდგომაზე ლობიოს, სიმინდს, კარტოფილს მოვუგროვებ და ვატან. იმდენი კარტოფილი მომყავს, რომ ყიდვა არ მჭირდება. ონიდან სოფელში იმიტომ წამოვედი, რომ მინდა, სანამ ცოცხალი ვიქნები, ლორი, ქათამი და ძროხა ვყოლიო. ძნელია აქ მეურნეობის გაძლოლა. ახლა, მაგალითად, ყანის დახვნა მინდა და ტრაქტორი ვერ ამოგვიყვანია. არ სცალიაო, გვეუბნებიან, ჯერ სოფელ უნერას სტირდებაო, შეიძლება, სულაც არ მოვიდნენ,“ — მეუბნება თამარი და სახლის დასათვალიერებლად მიყვავარ.

„მთელი დღე შრომაში გადის. სალამოობით ტელევიზორს უუყურებ, ამის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ჩემ გარშემო სახლები ცარიელია, წინა მეზობელი თბილისშია, გვერდით საერთოდ არავინ ცხოვრობს. მეზობლები მხოლოდ ლელო და იზა მეტრეველები არიან. ისინი რომ არა აქ ყოფნა მეც გამიჭირდებოდა, ხმის გამცემი ხომ უნდა მყავდეს ვინმე?“ — სახლს ვტოვებთ და მეზობელთან - ლელო მეტრეველთან - გადავდივართ, მისი სახლი მინისძვრის დროს დაზარალდა. ქალბატონ ლელოს ოთახებში შევყავარ და ბზარებს მაჩვენებს.

„პირველი მინისძვრა 1992 წელს მოხდა და კედლები მაშინ დაზიანდა. ლექმენტარულ დახმარებას ვითხოვთ, მარტო ფული ხომ არაა, დაგვეხმარონ ბლოკით, ცემენტით. გვეშინია, იატაკი არ ჩავარდეს, — ამბობს ლელო მეტრეველი.

მეუღლე 20 წლის წინ გარდაეცვალა. სამი შვილი და რვა შვილიშვილი ჰყავს. თავად რუსთავში ცხოვრობს, მაგრამ მშობლების სახლს რაჭაში, სოფელ ნიგავზებში უყურადღებოდ არ ტოვებს.

„არ მინდა, ჩემი მშობლიური სახლი დაინგრეს. ძმა არ მყავს, ამიტომ აქაურობას ვერ ვტოვებ. მინდა, მე თვითონ მივხედო, მერე კი ჩემი შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ. სახლი რომ არ მქონდეს, მშობლების საფლავზე მაინც ამოვიდოდი.

სახეები



როცა მძიმე ზამთარია, სოფელ ნიგავზებში 12-დან 14 ოჯახამდე რჩება. მეც ვტოვებ ზამთარში სახლს, მაგრამ როგორც კი გამოზაფხულდება, მაშინვე ამოვდივარ და მიწას ვამუშავებ, აქ მოყვანილ პროდუქტს ოჯახს ვახმარ,” — გვიამბობს ლელო მეტრეველი.

რაჭის დაცლას ქალბატონი ლელო უმუშევრობას და მძიმე სოციალურ პირობებს უკავშირებს:

„წინათ კურორტი მუშაობდა, ხალხი სანატორიუმებში იყო დასაქმებული. რაც სამსახურები აღარაა, ნელ-ნელა რაჭაც იცლება. ჩემს ბავშვობაში მახსოვს სანახშოზე მოიყრიდა ხოლმე ხალხი თავს, ახლა ასე აღარაა, მარტო ზაფხულობით ივება აქაურობა. ძვირფასი მშრომელი ხალხი ცხოვრობს რაჭაში, მაგრამ პირობები რომ არ იყო თავის დროზე, აქაურობა დატოვეს.”

ლელომეტრეველს მეზობელთან იზამეტრეველთან მივყავართ. ისიც მარტოხელაა და მშობლების სახლს არ ტოვებს. იზა მეტრეველის სახლიც მიწისძვრის დროს დაზარალდა:

„სახლის ნაწილი მე-18 საუკუნისაა. კედლები დაბზარული, ხელის შეშველება უნდა. ბევრი ვეცადე, რომ რამე სახსარი მომეპოვებინა, მაგრამ ვერაფრით დაგვეხმარნენ. ნაწილი ჩემი სახსრებით აღვადგინე, მეტი ვერ შევძელი,” — ამბობს იგი და თავისი ოჯახის ისტორიას გვიყვება.

იზა მეტრეველს მამა არ უნახავს, ის მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა:

„დედა ჩემზე იყო რასულად, როცა მამა ველარ დაბრუნდა. ქუდებს აკეთებდა ხოლმე და შოვში და უნერაში ყიდდა. მახსოვს, მეც ვეხმარებოდი ქუდების გაკეთებაში,” — იხსენებს და მშობლების წერილებს გვიჩვენებს. ფურცლები სიძველისგან ალაგ-ალაგ დახეულია, ნაწერები კი ძნელად იკითხება. მიუხედავად ამისა, ადვილად გაარჩევთ, რამხელა სიყვარულითაა დაწერილი მოკითხვები, რომელსაც იზა მეტრეველის მამა ცოლს სწერდა:

„გოგო რომ გავჩნდი, მამას მოუნერია, არ იდარღო, სიძეც საყვარელიაო. ახლა ყველაზე კარგად ვარ, მაგრამ ომი გვიახლოვდებაო...” — თვალცრემლიანი აგრძელებს წერილების კითხვას: „სალამი პელოს! მე ცოცხალი აღარ მეგონე, მაგრამ რაკი ცოცხალი ხართ, გამარჯვობა შენი. მომიკითხე ძმა ნიკო, ნასტია, ბაგრატი... თქვენ თუ კარგად

იქნებით, მეც კარგად ვიქნები.. თქვენს ამბებს რატომ არ მწერთ?! ხომ იცით, სიცოცხლე მინახევრდება, თქვენს ამბავს რომ ვერ ვგებულობ.” „სალამი სიმონა! პირველად გისურვებ ჯანმრთელობას და იმ მიზნების განხორციელებას, რომელ მიზნებსაც შენ ისახავდე გულში. იმედიც არის, რომ არ ჩამორჩები სხვას... პირველად ჩვენ მოგიყითხავთ ძალიან დიდი სიყვარულით და პირზე კოცნით...” — ხმა უკანასკნებს ლელო ბებოს და ხვდები, რა აჩერებს აქ, რატომ ვერ ტოვებს მამა-პაპისეულ სახლს და რატომ ერთგულობს ფეხებს.

„ორი წელია ავად ვარ და საქონელი აღარ მყავს, არ შემიძლია მოვლა. მეზობელი წასული რომაა, ერთი სული მაქვს როდის მოვა, ვერ გაძლებ ისე. ჩემი სახლის უკან ბიძაშვილები ცხოვრობენ, ისინი რომ არ იყვნენ, ლამეს ვერ გავათვდი. ზამთარში ვტოვებ სახლს და შვილთან მივდივარ. ძალიან მინდა, ზამთარშიც აქ ვიყო, მაგრამ არ არის პირობები და ვერ ვჩერდები. შეშა მაინც ხომ გვინდა, ოჯახები ვისაც ჰყავს, იმათ მოაქვთ, მაგრამ მარტოხელა ქალებმა რა ვქნათ?” — ასე ვასრულებთ საუბარს მარტოხელა ქალბატონებთან და გზად მომავალთ საგზალად მოგვაქვს მათი ურთიერთობის, თანადგომისა და ერთგულების ნიჭი.

რაჭაში რთულია მოძებნო რესპონდენტი, იმდენი დაცლილი სახლია, თუმცა ადვილია მათი დათანხმება ინტერვიუზე. გახარებულები შემოგციცინებები, პრობლემებს გიზიარებენ და იმედი აქვთ, რომ ოდესალაც რაჭასაც მიექცევა ყურადღება. ჩვენც ამ იმედით ვტოვებთ სოფელ ნიგავზებს. ლელო მეტრეველი რაჭიდან გზავნილს გვაწვდის:

„ჩემს რაჭველებს მოვუწოდებ, რომ არ მიატოვონ კარ-მიდამო და თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ. მიხედონ და ყერიდ არ გადააქციონ ჩვენი



სოფელი. ნამოსახლარიაო, არ უნდა თქვას არავინ. შვილიშვილიც თუ არის, უნდა მოვიდეს და მიხედოს ნინაპრების სახლს.”

P.S. ქალბატონი თამარი ჩემი მასწავლებელი იყო, ბოტანიკას გვასწავლიდა. არასდროს დამავინვყდება მისი სითბო, დამაჯერებელი დამრიგებლობითი ტონი და ლოგიკა.

ნინო რევაზიაშვილი

ცუკუნის წოდება

გალვა ჯაფარიძის ხამოქალაგის გუნდის მუსიკი




ლოტპარი

შალვა ჯაფარიძე - ანსამბლი „ბიჭუნები“ „ასეთმა კავშირმა ხალხურ ხელოვნებასთან, განაპირობა ჩემი შემოქმედების ქვაკუთხედის გამოთლაც-რაჭული ფოლკლორის შესწავლა, პოპულარიზაცია, ამღერება სახალხო გუნდის მიერ და შემდეგ მომავალი თობებისათვის გადაცემა. ამ სიყვარულმა შვა ახალი იდეა, ანსამბლი „ბიჭუნები“. ეს ვაჟები რაჭული და საერთოდ ქართული ხალხური სიმღერის წყალობით საქართველოს ისტორიას ეზიარებიან, კაცომყვარე ადამიანებად იზრდებიან, ავისა და კარგის შემცნობად ყალიბდებიან. ჩემი ოცნებაც ეს იყო!.. ეს ანსამბლი გახდა ცვლა მომავლისათვის. იმ პერიოდში საქართველოში მხოლოდ ანსამბლი „მართვე“ არსებობდა, სადაც პატარა ქართველებსაც შეეძლოთ მშობლიური ქვეყნის უნიკალური ნიმუშები შეესწავლათ.“

„ანსამბლი „ბიჭუნები“ მრავალგზის ფესტივალების ლაურეატი გახლავთ. განსაკუთრებულად ნაყოფიერი გამოდგა ბატონი შალვას სიცოცხლის ბოლო წლებში „ბიჭუნების“ მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. ისინი ბავშვთა რესპუბლიკურ ფესტივალებზე სამგზის გრან-პრის მფლობელები გახდნენ და მთელი საქართველოს სიყვარული მოიპოვეს. ეს ანსამბლი ისეთივე სახელოვანია, როგორც ანსამბლი „რაჭა“ და ამ ტრადიციასაც ისეთივე მოკრძალება და თანადგომა

სჭირდება, როგორც თავად ქართულ ფოლკლორს. „ბიჭუნები“ მრავალი თაობა აღიზარდა. დღეს, ანსამბლის ყოფილი წევრები დედაქალაქის დიდ ანსამბლებში მოღვაწეობენ და დამოუკიდებლად მიიკვლევენ შემოქმედებით გზას. ღვთის მადლით, ამ ტრადიციას ბატონი შალვას ქალიშვილმა-ირგმამ უერთგულა და დღეს ონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პატარა ქართველები ისევ ეზიარებიან ქართულიხალხურისელოვნების მადლი. ამ მამულიშვილურ საქმეს, ამ პატარა ქართველებს, მოფრთხილება და თანადგომა სჭირდება. ეს ბიჭები ხვალინდელი საქართველოს, ქართული ხალხური ხელოვნების მოამაგებად უნდა იქცნენ... ბატონი შალვას ლოცვა მადლიანი ენეოდეთ ზეციური საქართველოდან! მრავალუამიერ ყოფილიყოს მათი სვლა დედამიწაზე!



მსახიობი

შალვა ჯაფარიძე თავის ყველა საქმესთან ერთად თეატრსაც ერთგულებდა. შალვა: „გიგა ბავშვობიდანვე გვაზიარებდა მეც და შუქურასაც სცენის მადლი. თეატრი საოცრებათა სამყაროში გვახედებდა, გვივრთნიდა, გვრანდავდა, გვხვენდა, გვამაღლებდა და დღემდე შეუდარებელია ჩემთვის თეატრის სიყვარული ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით. იგი

ლოტბარი

სინთეზური ხელოვნებაა და ადამიანისაგან მრავალმხრივ ნიჭიერებას მოითხოვს. თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ და სწორედ ასე სინთეზურად იყო ჩვენს და-ძმებში შერწყმული ლექსიც, სიმღერაც, ცეკვაც, მსახიობბაც, მხატვრობაც, ძერწვაც, დრამატურგიაც და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი წვრილმანი, რომლითაც სავსეა თეატრალური სამყარო.” -გიგას თეატრში შალვა ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო წლების განმავლობაში. ერთიმეორის მიყოლებით ასხამდა ხორცს საინტერესო სცენურ სახეებს.



მესტვირი

სტვირი ბატონი შალვას მეორე დიდი სიხარული იყო. ამ სიყვარულშიც გიგა ჯაფარიძის გული და ხელი ერია. მან აზიარა უმცროსი ძმა ამ საკრავის კეთილ ჯადოს და შალვა ჯაფარიძეც მას აღარასოდეს განშორებია. შალვა ჩინებულად დაეუფლა სტვირზე დაკვრის და დამღერების ხელოვნებას. მან თვითონ ააწყოქართული ხალხური სიმღერები „მუმლი მუხასა“, „საზანდრული“, „მწყემსური“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „ყაზბეგური“, „საცეკვაო“, მისი რეპერტუარი დღითი დღე მდიდრდებოდა. შალვა — „ასეთი სითბო და სიტყბო მის მაგვარ საკრავთაგან არცერთს არ აქვს, მასზე ერთდროულად შეიძლება დაკვრაც და დამღერებაც“ ქუთაისიდან დაიწყო მისი სვლა, როგორც მესტვირისა, ხშირად სიამაყით.


უთქვამს: წორს წასულან რაჭველი მესტვირები, მაგრამ ჩემზე შორს სტვირის სახელი არავის გაუტანია!.. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა შალვა ჯაფარიძეს, მისი ნამუშევრის შეფასებისათვის მარტო გაქრობამდე მისული ეროვნული საკრავის, გუდასტვირის პოპულარიზაცია ეყოფოდა” „ვინ იცის, რამდენჯერ გაუხარებია საქართველო, რამდენჯერ მიულოცავს ახალი წელი თავისი გუდასტვირით, რამდენჯერ უსურვებია დღეგრძელობა ქართველი ხალხისათვის. მაყურებელს ხიბლავდა ეს წარმოსადეგი ვაჟკაცი, რომელიც მგზებარედ უმღეროდა მშობლიურ ქვეყანას, ეროვნული კულტურის ძეგლებს, იყო საამაყო მამულიშვილი.“ ზემო რაჭიდან წამოსულმა „მესტვირულმა“ მრავალი საკონცერტო დარბაზი ააფორიაქა მოსკოვსა თუ პრაღაში, ლენინგრადსა თუ ბუდაპეშტში, უნგრეთსა და პოლონეთში, გერმანიასა და საფრანგეთში.. სტვირზე დაკვრის ხელოვნებაც გადაულოცა ბატონმა შალვამ მომავალ თაობას, რადგან თავად ყველაზე კარგად უწყოდა, რომ წინაპრის დანატოვარს გაფრთხილება სჭირდება, ხოლო ტრადიციას გაგრძელება და განვითარება.



მესტვარი

შალვა ჯაფარიძე მხატვარიც გახლდათ.. მის მიერაა შესრულებული სასტუმრო „რაჭის“ სიმბოლო, მანვე საკუთარი სურვილით სოფელ ლარს და ლარველებს, აჩუქა მხატვრული ტილო „საჯვარეობა“, სორელებს კი „ფუძეობა“, მის ფუნჯს ეკუთვნის არაერთი საინტერესო ტილო, რომლებიც მის საოჯახო არქივში ინახება.

ისტორია ინყება შემერიდან



შუმერების წინაპრობა აღიარა და ამას ამტკიცებს ჩვენი უზარმაზარი საუჯვე და მსოფლიოს პირველი საოცრება — ანბანი, რაც ანბანმა გააცხადა, ამის გაცხადება არ შეეძლოთ რაც კი მეცნიერები ყოფილან დასაბამიდან დღემდე დედამიწაზე!!!
ზურაბ ქაფიანიძე

მარადიული თვალებლული სული

შუმერების ისტორიას ცისა და მიწის გაჩენით იწყებენ: გასაოცარია, საიდან იცოდნენ ეს ისტორია; აუხსნელია რა თვალი უყურებდა მაშინ დედამიწას, როცა ცა და მიწა ნაწილდებოდა, როცა სულ წყლით იყო დაფარული მიწა და ხმელეთი კი არ არსებობდა.

ასევე საოცარია და აუხსნელი ქართული ასომთავრულის — შუმერების ანბანის შექმნაც. საიდან? როგორ? რისი ნაწილია ანბანის ეს უზარმაზარი ცივილიზაცია, ვინ შექმნა ანბანი მთელი ამ უკიდეგანო სიბრძნით! საიდან ეს არადედამიწისეული სიბრძნე — სამყარო, სადაც ერთი ნერტილია ჩვენი დედამიწა — ეს სიცოცხლის დედა, რომელსაც შუმერები ენქის ეძახდნენ (ენ-უფალ+ქი-მიწა) — უფალ მიწას! ანბანი ყველაზე დიდი ისტორიაა დედამიწაზე! ანბანის ისტორია დედამიწის შუმერული ისტორიით უნდა დაიწყოს, რადგანაც ანბანს და დედამიწის ისტორიის წარმომავლობას ერთი ფუძე აქვთ და სამყაროს ცივილიზაციის ერთ საძირკველზე დგანან. დედამიწის დაბადების ისტორიაა ისიც, რომ ამ ორ შემთხვევას — დედამიწის შექმნის ისტორიას და ანბანს, ერთი და იგივე ღვთაებები ჰყავთ!

ვინ იცის, რამდენი ათასი წელი მოდის კაცობრიობის ისტორია და რამდენი ათასი წელი მახინჯდებოდა ერიდან ერში გადატანით, ან როგორ შლიდა და ჭამდა დროუამი და ათასწლეულები თიხაზე, ქვაზე და კლდეზე დაწერილ კაცთა ისტორიას. მაგრამ ვერ გაბზარა, ვერ გატეხა, ვერ წაშალა... ფერიც ვერ უცვალა ამ საოცარ სიბრძნეს-ანბანს. იგი, როგორც გაჩენდა ათასწლეულების წინ, ზუსტად ისეთია დღესაც, ელფერით, აზრით და შინაარსით, როგორც მარადიული თვახილული სული! ამას ვინ წარმოიდგენდა, რომრაც კი უძველეს აღმოსავლეთში სიბრძნეა, იმათი სათავე იქნებოდა

ანბანი, შემდგარი ოცდახუთმეტი ასონიშნისაგან, კაცობრიობის ეს ყველაზე დიდი საოცრებაა. ამ კვლევა — ძიების ისტორია, კი, ასე იწყება.

ჩვითი ანბანი მასნავლებელი

პირველად სკოლაში ჩემმა, საქართველოსავით საყვარელმა ქართულის მასნავლებელმა — ანიკო ქურციკიძემ რომ გვითხრა „ანბანში ასონიშნებს თავისი შინაარსი აქვსო“, გამეცინა. ჩემს მასნავლებელს კი, ენყინა... და მითხრა, გაიმორე, რაც ვთქვიო. მეც გავიმეორე — „ანბანში ასონიშანს შინაარსი აქვს“... მას შემდეგ აღარ მომშორებია ეს საოცარი აზრი, ერთ ასოში რა შინაარსი უნდა იყოს — მეთქი; ასო ასოა, ინერება, იკითხება, მაგრამ რამდენადაც მეტად შეუძლებელი მეგონა, იმდენად მიცხოველდებოდა ინტერესი. ამ საიდუმლოს მიგნებისა.

ანბანური საიდუმლოება

მთელ მსოფლიოში გაბატონებულია აზრი, რომ ანბანში არის შეფარებული საიდუმლო, მაგრამ მსოფლიოს არცერთმა ანბანმა ეს არ დაადასტურა; ამ საიდუმლოებას მსოფლიოს მეცნიერებმა ვერ მიაგნეს. როცა ანბანი გადადიოდა ერში და ვრცელდებოდა მთელ დედამიწაზე, ამბავიც საიდუმლოების შესახებ გაჰყვა და ვრცელდებოდა მთელს მსოფლიოში. სად არ ეძებეს, ვინ არ ეძებდა, რა მეცნიერები არ დაშვრნენ ანბანის შესწავლით, მაგრამ არა და არ გამოჩნდა ეს შეფარული საიდუმლო არცერთ ანბანში, ვერა და ვერ მიაგნეს, ვერა და ვერ აღმოაჩინეს, რა საიდუმლოება, რა რიცხვითი მნიშვნელობა, რა ასტრორიული მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ანბანში, ან რა შინაარსი შეიძლებოდა ჰქონოდა ასონიშნებს ამერიკელი შუმეროლოგის კრამერის მიხედვით

ძვ. 6. მესამე ათასნლეულის ბოლოს მეოთხედში ქალაქ აქადაში მცხოვრებ სემიტებს შუმერებისგან გადაულიათ ანბანი. თითქმის ოთხიათასი წელია მოყვება ეს ამბავი ანბანის ისტორიას, მაგრამ მის სათავეს ვერა და ვერ მიაკვლიეს ამ ცნობით დაინტერესებულმა მსოფლიოს მეცნიერებმა. მსოფლიოში არც ერთმა ანბანმა ეს საიდუმლო არა და ვერ გამოაჩინა და მსოფლიოს ვერც ერთ ანბანში საიდუმლოს ვერ მიაკვლიეს.

აჩრდილივით დამსდევდა მსოფლიოს ანბანებს თანდაყოლილი ამბავი საიდუმლოებების შესახებ, მაგრამ მისი ასავალ—დასავალი ვერ ნახეს, მსოფლიოს ვერც ერთმა მეცნიერება ანბანის შესწავლას 4000 წლის მანძილზე ვერსად მიაგნო. ვერც მიაგნებდნენ, რადგან ეს საიდუმლოება მხოლოდ ერთ ანბანს ჰქონდა; ამ ერთადერთ ანბანს კი, მსოფლიო არ იცნობდა და არც დღეს იცნობს. მსოფლიოს მეცნიერება არც ის იცოდნენ და დღესაც არ იციან თუ შუმერებს რა ანბანი ჰქონდათ და საიდან მოძღვრავდნენ მსოფლიოს ხაზობრივი რიცხვითი კალენდარული ცოდნის რელიგიით; არ იცოდნენ სად იყო ცივილიზაციის სათავე და კაცობრიობის ეს ყველაზე დიდი საოცრება, შუმერების ანბანი.

პირველ გადამლებებს ანბანისას, სემიტებს, შუმერებმა არ გაატანეს ის ცივილიზაცია, რაც მათ ანბანს ჰქონდა და მერე, რაკი სემიტებისაგან გავრცელდა მთელ ქვეყანაზე ანბანი, ჯერ მთელმა აღმოსავლეთმა გადაიღო იგი და მერე მსოფლიომ. ის საიდუმლო კი, რაც ჰქონდა, სემიტებმა, რა თქმა უნდა არ იცოდნენ. ამიტომ ანბანში ამბავი საიდუმლოების შესახებ ლეგენდად დარჩა, რადგანაც ანბანური საიდუმლოება არცერთ ანბანს არ აღმოაჩნდა, რაც კი ანბანებია მთელს დედამიწის ზურგზე ასომთავრულის გარდა.

საქართველოს და კაცობრიობის ისტორიის სათავე

საქართველოს დაკარგული ისტორიის მიგნება, აღმოჩენა და აღდგენა ნიშნავს, რომ აღადგინო კაცობრიობის ისტორიის სათავეები.

დიახ, ასეთ ურთიერთკავშირისა საქართველოს და კაცობრიობის ისტორია. ამ წინადაღებაში გაცხადებული აზრის გაგებაში არ არიან საქართველოს ამ დარგის რეგვენი მეცნიერები, პროფესორები, დოქტორები და აკადემიკოსები.

ჩემს პირველ წიგნში განვაცხადე, რომ უბედურება ის კი არა არის ქართველთა მტრებს შურით რომ ავსებს, ეს აღმოჩენა-უბედურება ის არის ქართველ სწავლულთა დიდი ნაწილი რომ

გაბოროტდება ჩვენი ანბანის სიდიადით-თქმ, რომ ამ აღმოჩენის დიდი წინააღმდეგობა შეხვდება-თქმ, მაგრამ ამ ბრძოლას დინჯად და დიდი ნებისყოფით ჩავატარებ-თქმ და მიხვდება კიდეც დღემდე ეს ბრძოლა!

ჯერ საკითხავია რატომაა საჭირო საქართველოში დიდი ქართული საქმისთვის ბრძოლა.

ამ დიდ ქართულ საქმეზე დავამთავრე შეგონება, თხოვნა, მუდარა ამ დარგის მეცნიერებთან და მთავრობასთან. ამიტომ გაზეთი შუმერი იწყებს უთანასწორო ბრძოლას გაუგებრებთან, ყრუებთან, ბნელებთან, გაგების უაზროებასთან. ეს ეხება დედა იმ დარგის მეცნიერებს, რომლებიც აბნელებენ და შრეტენ საქართველოს სინათლეს და რყვნიან საქართველოს წარსულს, ანმყოს და მომავალს და ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ამ ორმა უნივერსიტეტმა საკუთარი ქართული ანბანი არ იცის!

რაშია საქმე, რა ენაზე, რა კულტურაზე, რა განათლებაზე, რა ანბანზე, რა საქართველოს და კაცობრიობის ისტორიაზე?

306 იყვნენ მუმარები

შუმერები ის ხალხია, რომლებმაც გაანათლეს ჯერ აზია, მერე ევროპა, შემდეგ კი მთელი მსოფლიო. „შუმერები ძველ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცივილიზაციის ხალხი“ — კრამერი. გვ. 39 ი.ი.შ.

შუმერები არიან პირველები, რომლებიც — ლურსმნული დამწერლობით იწყებენ წერას დედამიწაზე „რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში“.

შუმერებმა შექმნეს რელიგია დედამიწაზე, მათ ასწავლეს ლოცვა კაცობრიობას. „უნიჭირესმა შუმერელმა მოაზროვნება შექმნეს რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა მთელი სისტემა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ მაშინდელი აღმოსავლეთის ქვეყნები! — კრამერი. ეს ძვ. 6. IV-III ათასწლეულია. გვ. 39. ი.ი.შ.

შუმერებმა შექმნეს დედამიწაზე პირველი მზისა და მთავრის კალენდარი — წამების სიზუსტით, რაზეც თანამედროვე მსოფლიოს ასტრონომებს წარმოდგენაც არა აქვთ.

შუმერებმა ასწავლეს დედამიწის ხალხს ხაზობრივი ცივილიზაცია. შუმერებმა ასწავლეს კაცობრიობას რიცხვი, მისი აზრი და შინაარსი. შუმერებმა ასწავლეს, მთელი დედამიწის ხალხს — ერთი ღმერთი — სამყაროს შემქმნელი და მბრძანებელი, ასტრონომიულად გალაქტიკების შუაგული, რომელმა ღმერთმაც მზის სისტემა აჩუქა დედამიწით მცენარეებს, ცხოველებს,

კვლევა

ადამიანს და ცივილიზაციას.

შუმერების ძვთაებათა პანთეონი იყო მსოფლიოს ხალხის პირველი სალოცავები — მთვარე, მზე, სინათლე, მზეთამზე, დიდი ღმერთი ცისკრის ვარსკვლავი და დედამინა — ხარი.

შუმერებმა ასწავლეს მსოფლიოს იგავ-არაკის, მოთხოვნის, ლექსის და ისტორიის წერა.

შუმერებმა იცოდნენ, რომ ზეციდან იყვნენ მოვლენილი ჯერ კიდევ ძ. 6504 წელს და მეორედ ძვ. 5604 წელს, რასაც ამონმებს სვანური სიტყვა ზეციდან მოვლენას — ცისმარე — ე.ი. ცის კაცი და კოლხეთის მეფის აიეტის ტიტული — მზის შვილი და ზეციდან მოვლენას ადასტურებენ მსოფლიოს მეცნიერებიც.

შუმერების ასთავლეს ხატვა და ჟადეპების მსოფლიოს.

შუმერების გმირი იყო გილგამეში — კაცობრიობის პირველი მეფე უსამართლობასთან მებრძოლი. ამ სახელს კი მსოფლიოში მარტო სვანური დიალექტი ხსნის, გილგა — სახელია, მეშიალ — მეომარი!

შუმერებს „სამყაროს წარმოშობაში“ ნახსენები აქვთ ღვთაებები ანი-ქი-ლილე-ენ. ანი-მთვარეა შუმერულად და ანბანით, ქი — მინაა შუმერულად და ანბანით, ლილე — ჰაერი, ნიავი, სული შუმერულად და სვანურად. ენ — უფალი შუმერულად და ანბანით.

შუმერები იწყებენ დედამინაზე ანბანურ წერას, რადგანაც სემიტებმა შუმერებიდან ისწავლეს

ანბანი და სემიტური პირველ ანბანად მიიჩნია მსოფლიომ, რადგანაც იქიდან გავრცელდა დედამინაზე ანბანი. ძვ. 6. III ათასწლეულის ბოლოს დამპყრობმა სემიტებმა შუმერებისგან მარტო დამწერლობა როდი გადმოიღეს — კრამერი გვ. 14 ი.ი.შ.

შუმერები აღარ არიან, ასე იციან მსოფლიოს შუმეროლოგებმა — ენა მკვდარია და ხალხი გადაშენებული.

გაქრა დედამინიდან შუმერთა მოდგმა, გადაშენდა, აღარც ხალხია, აღარც ენა, აღარც კულტურული მემკვიდრეობა, არაა არსად მათი სულ უბრალო ნაშთიც კი მიწის ზემოთ — ასე იციან მსოფლიოს შუმეროლოგებმა, მსოფლიოს აღმოსავლეთმცოდნებმა, მსოფლიოს მეისტორიებმა. აღარ არიან, მორჩა და გათავდა.

ასე ეგონათ საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს მეცნიერებს. ასე გონიათ დღესაც. თითქმის წელიწადი ეძებეს შუმერების კვალს შუამდინარეთში. თითქმის მთელი შუამდინარეთი, მთელი ახლო აღმოსავლეთი გადათხარეს ინგლისელებმა, ამერიკელებმა, ფრანგებმა. მაგრამ თიხის წიგნებისა და არქეოლოგიური ნაშთების გარდა მათ გზა-კვალს ვერა და ვერ მიაგნეს.

ასე დაასრულა მსოფლიოს შუმეროლოგების უდიდესმა კოპორტამ კვლევა შუმერების შესახებ, მიუხედავად მათგან ბრწყინვალედ წაკითხული შუმერული ისტორიისა.




შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრული, მზისა და მთვარის ანბანები წოდებული, სამყაროსული ციკონისკით ფორმულით არის შეგვენილი რა რეამინურზე ადამის მოგვის განათლების სათავე. ამ ანბანური განათლების საიტოლოებრთა ამოცნობა, გაგება რა მიგება ხუ ხევა გხეზე კუნებს კუსობრიობის ისწონისა რა აზროვნებას.

შუმერების — იგივე ქართული ასომთავრული — ანბანი აღმოსავლეთის ყველა უძველეს სიკინისკითა სათავე, რომელის გაცნობა მსოფლიოს აღმოსავლეთმცოდნებს აძლევს საშუალებას ახსნან ჯერ ამოცნენული ყველა საიტოლოება, რითაც სავსეა კაცთა მოგვის ღრუმებულობები ამოცნენობის პირველი სიძველეები.

ჩვენი აღმოჩენები ითხოვს თავიდან გარავნებოთ მთელ აზროვნოგიურ მასაზა, რაც კი კაცობრიობას რეამინის სირმეში ყვავნის შუმერების შესახებ.

ნერინგ ქაფიანი

გასლები ბო



კლინიკა, რომელმაც სამადლობელი წერილის დაწერა გადამაწყვეტინა თბილისში, დილმის მასივში მდებარეობს. მესაჭიროებოდა გადაუდებელი ოპერაცია, მაგრამ საერთო სისუსტის ფონზე სხვა ოპერაციისგან კლინიკებმა თავი შეიკავეს. ქალაქში ამ დარღვი „სახელგანთქმულმა“ კლინიკამაც უარით გამომისტუმრა, რის შემდეგაც ახლობლების რჩევით „ნიუ ვიუენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს“ მივმართე.

მცირეოდენი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ გამიკეთდა ოპერაცია, ორი დღის შემდეგ კი კლინიკიდან გამომწერეს. თუმცა დღემდე უშურველად მიწევენ პროფილაქტიკურ შემოწმებას და კონსულტაციას.

სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი კლინიკის ახალგაზრდული პერსონალის გულისხმიერებით, პროფესიონალიზმით, კლინიკაში არსებული დისციპლინით და სისუფთავით.

განსაკუთრებული მაფლობა მინდა ვუთხრა ჩემს მკურნალ ექიმს, ქალბატონ ნინო ჩაჩანიძეს, ქირურგ ბექა კევლიშვილს, კარდიოლოგიური და რეანიმაციული განუოფილების თანამშრომლებს, კლინიკის ხელმძღვანელს ბატონ გიგი კევლიშვილს, სასიხარულო იუნ ჩემთვის, რომ ძმები კევლიშვილები წარმოშობით ჩვენი მშობლიური - კუთხიდან, სოფელ საკაციიდან არიან.

ღმერთმა დაგლოცით, ბატონობ გიგი, მრავალი წელი უოფილი უვავით თქვენს გუნდთან ერთად იმ დიდი და საპასუხისმგებლო მისის ავანგარდში, რასაც ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჭოზე დგომა ჰქვია. ღების მაცხოვარი იყოს თქვენი შემწე.

ოთარ გავაშელი
ონი, სოფელი ღები

სამძიმარი

ოთარ გავაშელს, მთის რაჭის კოლორიტს, დიდ რაჭველს ახლახანს უფალმა განსაცდელი მოუგლინა - გარდაცვალა მეუღლე, აგრაფინა გავაშელი.

ვუთანაგძნობთ ბატონ ოთარს და მის შვილებს ძვირფასი ადამიანის გარდაცვალების გამო.

რედაქცია

ბესო მეტრეველის გახსენება

ბესო მეტრეველი... უკვე წარსულში გარდასახული ნათელი ხსოვნა... 56 წელი და გაზაფხულით დასრულებული სიცოცხლე... აცრემლებული ოჯახი, ძაძებით მოსილი მეუღლე, ქალბატონი ვარდო, ორი შვილი და ორი შვილიშვილი, ძმები, რძლები, ძმისშვილები...

ეს, მწარე რეალობა. ბესო დღეს მარადისობის ბინადარია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. სანთელ-საკმეველი უნათებდეს გზას სასუფევლისაკენ.

„რაჭველების“ რედაქცია

საოჯახო მუხანი ჩაჭაში

რაჭაში ჩაბრძანებულ სტუმარს მასაცინებული წყითგანვე გარანში ეპატიზებოდა, ზურის თავზე „ხრიკოლათი“ ამოღებულ ცივ ლვინოს

თეთრასა და ცოლიკოურს იღებენ. კონტაქტურ პრეპარატებს ისინი იყენებენ ძველ ვენახში, სადაც ორგანული მევენახეობის პრინციპებს იცავენ, ახალში კი - სისტემურებს მიმართავენ.

ალეკო სარდანაშვილი 34 წლისაა, პროფესიით

- **ალმოსავლეთმცოდნე.** რამდენიმე წლის წინ სირიდან დაუბრუნდა საკუთარ სოფელს. ძველებურ სახლსა და მარანში ტურისტულ სეზონზე მცირე ჯგუფებს მასპინძლობს. მელვინეობა მისთვის, ჯერჯერობით არ გამხდარა ფინანსური მოგების მომტანი, თუმცა ამ საქმეს ის გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავს და დარწმუნებულია, რომ დროთა განმავლობაში ეს საქმე ოჯახისთვის დიდი და მრავალმხრივი სარგებლის მომტანი გახდება.

მისი თქმით, რაჭაში მცირე მელვინეობების განვითარებას, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეების ეკონომიკური შექირვება და მათ შორის ინფორმაციის სიმწირე უშლის ხელს. რაჭის მკვიდრთ ინფორმაციული წვდომა არ აქვთ ძალიან ბევრ სახელმწიფო თუ საერთაშორისო



თიხის ზურჩელში ჩამოუსხამდა და ოჯახისა და სტუმართ-მასაცინდლობის სადღეგრძელოს ასხევდა. ამ დროს ცველი, აური, „ვიჩინა“ და მწვანილი სუფრის ჩვეულებრივი ატრიბუტები გახლდათ.

ამჯერად **სარდანაშვილების**, ილია კენჭაძისა და გოგი მარგველიძის საოჯახო მარნებს გაგაცნობთ, რაც ვფიქრობთ საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

სარდანაშვილების მარანი, **სოჭ. ხვან-შპარა,** ამპროლაურის მუნიციპალიტეტი.

2 წელია, რაც ოჯახური მელვინეობა სარდანაშვილებისთვის შემოსავლის წყაროდ იქცა. მანამდე ისინი ღვინოს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებდნენ. დღეს ოჯახის ძველი და ახალი ვენახები სოფ. ხვანჭკარაში, თითქმის, ერთ ჰექტარს მოიცავს, საიდანაც, ჯერჯერობით, დაახლოებით 300 ლ. ხვანჭკარას, ნახევარტონაზე მეტ წულუკიძის



მეღვინეობა რაჭაში

პროგრამაზე, რაც მათთვის შეიძლებოდა მეურნეობის განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ყოფილიყო. ალექო, ასევე, თვლის, რომ მათი რეგიონის ტურისტულ პოტენციალს არასათანადო ყურადღება ეთმობა გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან. ამის გამო ბევრი მევენახე, ჯერჯერობით, სკეპტიკურად ეკიდება მეღვინეობასა და ღვინის ტურიზმს რაჭის რეგიონში, მათი დიდი ნაწილი, საკუთარი მოხმარებისთვისაც კი, ფალსიფირებულ ღვინოს აწარმოებს.

გოგიმარგველიძის მარანი, სოფ. სადმელი, ამპროლაურის მუნიციპალიტეტი

კითხვაზე - როდიდან დაიწყო მეღვინეობა, გოგი მარგველიძეს პასუხის გაცემა უჭირს. დაახლოებით, 50 წელს ითვლის, ღრმა ბავშვობიდან. ოჯახური მეღვინეობა უფრო ძველია და მას ბატონი გოგის მამა და ბაბუა უძღვებოდნენ. ღვინის წარმოება მათთვის ბიზნესი გახდა სულ რამდენიმე წლის წინ, მანამდე, საკმაოდ დიდი რაოდენობით - 5 ტ. ყურძენს თავად მოიხმარდნენ, მოუკითხავდნენ ახლობელ ოჯახებს და რაც მორჩებოდათ, ყიდდნენ, თუმცა, ეს, ერთგვარი ენთუზიაზმი უფრო იყო, ვიდრე - ბიზნესი, რომელზედაც ისინი დამოკიდებული იყვნენ.

დღესდღეობით გოგი მარგველიძეს სოფ. სადმელში, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში ძველებური, საკმაოდ ორიგინალურად გაფორმებული მარანი აქვს, სადაც სეზონზე ტურისტულ ჯგუფებს მასპინძლობს. პარალელურად, ის მეღვინეობის გაფართოებაზე ზრუნავს. სულ ახლახანს 2500 ახალი ძირი შემატა საკუთარ ვენახს. კონტაქტურის გარდა, ის სისტემურ ქიმიკატებსაც იყენებს, ამიტომ ვაზის დაავადებები და მავნებლები მისთვის ნაკლებად პრობლემური საკითხია.

საკუთარი ოჯახისთვის ის აწარმოებს კაპისტონს, მწვანესა და წულუკიძის თეთრას, აგრეთვე, კახურ საფერავს. ბიზნესში კი დომინანტი როლი ალექსანდროულსა და მუჯურეთულს და მისგან დაყენებულ ხვანგჭარას მიუძღვის.

გოგი მარგველიძე მიიჩნევს, რომ უმთავრესი პრობლემა, რაც რაჭის რეგიონში მცირე მეღვინეობების განვითარებას უშლის ხელს, ეს არის მიგრაცია. მისი აზრით, ასევე, აუცილებელია ხელის შრომის ჩანაცვლება მექანიზაციით, რისთვისაც ფერმერებს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი დღეს არ გააჩნიათ. მნირი ეკონომიკური ბაზისის გამო გლეხები ორიენტირებული არიან სწრაფი სარგებლის მიღებაზე, ამიტომ ისინი



მეღვინეობასა და მევენახეობას შორის არჩევანს ამ უკანასახელზე აკეთებენ.

ილია კენჭაძის მცირებული მეღვინეობის ისტორია მისი ნინაპრებიდან იღებს სათავეს. 2013 წლამდე ოჯახი ღვინოს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებდა, შემდეგ კი ამ საქმემ კომერციული დატვირთვა შეიძინა.

ილია 0.7 ჰექტარ ვენახებს ფლობს, საიდანაც ყოველწლიურად, საშუალოდ, 3 ტ. ყურძენს იღებს. მოსავლის 70 %-ს შეადგენს ალექსანდროული და მუჯურეთული, 30 %-ს კი - დანარჩენი ჯიშები - რაჭული მწვანე, წულუკიძის თეთრა და ცოლიკოური. ეს ჯიშები ილიას სიახლეებისა და ექსპერიმენტებისთვის აქვს განკუთვნილი. მისი სურვილი იყო, ენარმოებინა საინტერესო და განსხვავებული ღვინო, ამ მიზნით მან დააყენა ლეჩიუმური ცოლიკოურისა (70 %) და რაჭული მწვანის (30 %) კუპაჟი.

ილია კენჭაძეს რაჭის მცირე მეღვინეობთან დაკავშირებული პრობლემების საკმაოდ მკაფიო და ჩამოყალიბებული ხედვა აქვს. მისი აზრით, მთავარი ფაქტორი, რაც მევენახებს მეღვინეობისგან აშორებს, ეს არის ენდემური ჯიშების (ალექსანდროული, მუჯურეთული) მაღალი თვითღირებულება. ეს მოცემულობა გლეხებისთვის მევენახეობას, მეღვინეობასთან შედარებით, უფრო მიმზიდველს ხდის. მეორე პრობლემა ტექნოლოგიური ხასიათისაა - ოჯახურ მარნებში ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის მიღწევა, რაც, ილია კენჭაძის თქმით, რეგიონის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდ სირთულეებს უქმნის მცირე მეღვინეობებს. მესამე - შესაბამისი აღჭურვილობის არქონაა.

დაბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა - ცოდნის დეფიციტი და ღვინის ცნობიერებასთან დაკავშირებული პრობლემები, ხელს უწყობს ფერმერებს შორის მცირე მეღვინეობებისადმი სკეპტიკური და-მოკიდებულების ჩამოყალიბებას.

21-ე ცხრაფუნდოს ხიდუნდა ცხატაფუნდა ლე უშვიდითა შემოქმედები

„შვილი 6 წლი არ გვყავდა, ახლა კი უკვე პატრაიონანი გვყავს, უპედნიერესი მომზადები ვართ და გვჯერა, რომ უფალი კიდევ მოიღებს მოწყალებას - შვილი კიდევ გვეყოლება.“

შარშან 50-მდე წვეილი ტაძარში მადლობის სათქმელად ავიდა. თუმცა შვილიერების მთხოვნელი თითქმის ათასამდე წვეილი იყო. წელსაც დაითვლიან ტაძრის მსახურები თუ რამდენ ადამიანს აუსრულა უფალმა თხოვნა.

„8 წელი შვილი არ მიჩნდებოდა, მრავალწლიანი მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა, იმედი გადაწურული მქონდა, როდესაც ამტაძრისამბავი გავიგე. მედაჩემმა მეუღლებ პატარა აკვანი დავამზადებინეთ და ხუთშაბათ დღეს ავედით ტაძარში, ვილოცეთ და ვეზიარეთ კიდეც. სასწაული მოხდა, ჩვენი ლოცვა უფალმა შეისმინა. უბედინერესი ქალი ვარ, ჩემი მეუღლე ამ ამბის შემდეგ სტიქაროსანი გახდა... დღეს კი მადლობის სათქმელად ამოვედი, ძალიან მალე შვილი გამიჩნდება. -“ მითხრა შარშან წაჩურობის დღესასწაულზე თბილისიდან მარტვილის რაიონის, სოფელ სალხინოში ჩამოსულმა ქალბატონმა...“

ბრწყინვალე შვიდეულის ყოველ ხუთშაბათს, გამთენიდან მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში მანქანების ნაკადი არ წყდება. წაჩურობის დღესასწაულის აღსანიშნავად და მოსალოცად ათასობით ადამიანი იმ ტაძარში მიდის, რომელსაც საუკუნეებია უშვილოთა შემწედ მიიჩნევა. წაჩურულს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია სოფლის ცენტრიდან 7 კილომეტრის მოშორებით, მაღლობზე აგებული. აქ განსაკუთრებული ხალხმრავლობა ბრწყინვალე შვიდეულის კვირას, აღდგომის მეოთხე დღეს არის. ამ დღეს ტაძარში ძირითადად უშვილო წვეილები ადიან. ტაძრამდე სამანქანო გზაა, მაგრამ ხალხის დიდი ნაკადის გამო გზას პოლიცია კეტავს და მომლოცველები გრძელ აღმართს ფეხით მიუყვებიან. უშვილო წვეილებს პატარა, ლამაზად მორთული აკვნები მიაქვთ. ზოგს აკვანში თოჯინა



ჰყავს. იქ ბევრ ფეხშიშველ ადამიანს ნახავთ, ყველას თავისი აღთქმა აქვს და მის შესრულებას თავისებურად ცდილობს. არც მათ ავინიდებათ მადლობის თქმა, ვისაც უფალმა სასწაული მოუვლინა და შვილი აჩუქა. ისინი სამადლობელის სათქმელად პატარა ბავშვებით ხელში ადიან და უფალს მადლობას სწირავენ. ზოგს შესანირი მიაქვს დაპირებული ცხვარი ან ფრინველი მიჰყავს.

ამ უძველეს სალოცავზე ლეგენდა ამბობს: ერთხელ, სოფლის ახლოს, ყანაში გლეხს ცოლმა სადილი მიუტანა. გლეხმა თავის მწირ ტრაპეზიე უცნობი მგზავრი მიიპატიჟა. ცოტა ხანში მასპინძელმა შეამჩნია, რომ ლვინო და საჭმელი კი არ ილეოდა, მრავლდებოდა. მოულოდნელად მგზავრმა გლეხს სთხოვა, იცეკვეო. ისიც დათანხმდა. ამის შემდეგ უცნობი თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. გლეხი მიხვდა, რომ სასწაულებრივი ხილვის ღირსი გახდა... სასულიერო პირების აზრით, ლეგენდა შესაძლოა, ანგელოზის გამოცხადებაზე მიუთითებდეს. იმასაც ამბობენ, სამეგრელოდან სვანეთს მიმავალ ანდრია პირველწოდებულს ამ ადგილას ქვის ჯვარი აღუმართავს, ტაძარი კი მოგვიანებით, მე-7 საუკუნეში აუგიათ. ჩვენამდე

ღვთის სასწაული

განახლებულმა, მე-18 საუკუნის დარბაზულმა ეკლესიამ მოაღწია.

შოთა სხულუხია ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც უფალმა სასწაული მოუვლინა და შვილი აჩუქა:

- ამ ულამაზეს სოფელში დავიბადე და გავიზარდე. ამ ტაძარში ბავშვობიდან დავდიოდი ყოველ ნაჩეურობას, მაგრამ მაშინ არ მქონდა გათავისებული ტაძრის მნიშვნელობა. ნელები გავიდა, დავოჯახდი, საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი... მე და ჩემ მეუღლეს შვილი 6 წელიწადი არ გვყავდა, თუმცა იმედი არასდროს დამიკარგავს. რამდენიმე წელი მე და ჩემი მეუღლე შვილიერებას ვთხოვდით ნაჩეურუს მთავარანგელოზს... ექვსი წლის თავზე უფალმა ჩვენი თხოვნა შეისმინა და პატარა იოანე გვაჩუქა, მადლობა ღმერთს ამისთვის, მადლობა ნაჩეურუს მთავარანგელოზს, მადლობა ამ მონასტრის ბერებს ლოცვისთვის... როგორც უკვე გითხარით, ახლა უკვე პატარა იოანე გვყავს, უბედინერესი მშობლები ვართ და გვჯერა, რომ უფალი კიდევ მოიღებს მონაცემებას - შვილი კიდევ გვეყოლება. ბევრი ახლობელი, მეგობარი, ნაცნობი თუ უცნობი გამხდარა ამ ხილული სასწაულის მხილველი. მიხარია, რომ ამ ტაძარს ყოველ წელს ემატება მრევლი და მომლოცველი. საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიან, უკვე ბევრმა იცი, რომ ამ ტაძრის მადლი 21-ე საუკუნის ხილული სასწაულია. აქ თუ წყვილი რწმენით და უფლის სიყვარულით ადის, არ არსებობს არ აუსრულოს უფალმა ვედრება. არიან ისეთები, რომლებიც ამ ტაძრის მადლით მრავალშვილიანებიც გახდნენ.

ამხელა წყალობისთვის მადლობას ყოველთვის ვეუბნები უფალს. უშვილო წყვილებს კი, მინდა ვუთხრა, გრამდეთ სასწაულის და ეს აუცილებლად მოხდება. იყო შემთხვევა, 17 წელი არ ჰყავდა წყვილს შვილი, რა არ გააკეთეს, მაგრამ ამაოდ... ამ ტაძარში ერთ ჩვეულებრივ ხუთშაბათს ავიდნენ და... მათ დღეს ქალ-ვაჟი ჰყავთ.

აქ მართლა ბევრ საოცარ ისტორიას მოისმენთ. პირველი წირვა ნაჩეურუს ეკლესიაში დეკანოზმა, მამა სერაფიმე (დანელია) აღავლინა. მაშინ ის სოფლის ტაძრის წინამდლვარი გახლდათ. ყოველ ხუთშაბათს 7 კილომეტრს ფეხით გადიოდა და წირვას ატარებდა. აი, რას იხნებს მამა სერაფიმე:

- ამ ტაძარში უკვე მრავალ სასწაულს შევსწრებივარ, მაგრამ პირველი სასწაული მართლაც დაუვიწყარია ჩემთვის. ახლობელ ცოლ-ქმარს უშვილოების პრობლემა ანუხებდა და მთხოვეს მათთვის შეკვეთილი წირვა აღმესრულებინა მთავარანგელოზთა ტაძარში. მაშინ ახლად

ნაკურთხი მღვდელი ვიყავი, არც მედავითნე მყავდა და არც საკურთხევლის მსახური, ამიტომაც ვთხოვე თვითონვე ემსახურათ. ცოლი გალობდა, მეუღლე კი შეძლებისდაგვარად მემსახურებოდა. შემოდგომის სუსტიანი დილა იდგა, ამიტომაც ქმარმა ტაძრის შორიახლოს პატარა ფარდულში ცეცხლიაანთოდადროდადროგაიპარებოდა ხოლმე გასათბობად. წირვის მსვლელობისას ვხედავდი, რომ რამდენჯერმე შემოირბინა, თან გაოგნებული სახე ჰქონდა და აქეთ-იქით უცნაურად იყურებოდა. წირვის დასასრულს ვკითხე თუ რა იყო ამ უცნაური ქცევის მიზეზი? - მიპასუხა, - წირვის დროს რომ შემცივდა გასათბობად გავედი, მაგრამ როგორც კი ცეცხლთან დავჯექი, საოცარი გალობა მომესმა ტაძრიდან და ვიფიქრე ხალხი ამოვიდაო. შემოვედი ტაძარში. იქ კი არავინ დამხვდა, უკან გასულს ისევ ის საოცარი ხები მომესმა და ეს რამდენჯერმე გამეორდაო... დიდება შევწირეთ უფალს, მაშინ ტაძარში წირვა-ლოცვის აღდგენის პირველი დღეები იყო და ჩავთვალეთ, რომ ანგელოზებიც ჩვენთან ერთად ხარობდნენ ამის გამო. რომ იცოდეთ, ამ ჩემი ახლობლის ოჯახს ამის შემდგომ ოთხი შვილი შეეძინა. გილოცავთ ნაჩეურობის დღესასწაულს... ნაჩეურუს მთავარანგელოზებმა დავლოცოთ და გაგახაროთ!

ბოლო წლებია ნაჩეურობას მეუფე პეტრე ატარებს წირვას. ამ დღეს უშვილოებს ლოცვებში იხსენიებენ, წყვილები ეზიარებიან და შემდეგ მათ და მომლოცველებს საგანგებოდ, ეპარქიის სახელით გაშლილ ტრაპეზზე ეპატიუებიან. იქ მამათა მონასტერი რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. სტიქაროსნები წყვილების სახელებს იწერენ და მთელი წლის განმავლობაში ყოველ ხუთშაბათს ბერები უშვილო წყვილებს ლოცვებში იხსენიებენ და მთავარანგელოზს მათთვის შვილიერებას სთხოვენ. გარდა ბრწყინვალე შვიდეულისა, უშვილო წყვილებს ტაძარში ნებისმიერ ხუთშაბათს შეუძლიათ ასვლა და ლოცვა. ტაძარში მიტანილ პატარა აკვნებს სასულიერო პირები აკურთხებენ. ის აკვნები იმ უშვილო წყვილებს მიაქვთ, რომლებსაც აკვანი არ ამოუტანიათ, ბევრი ლამაზად მორთული აკვანი მშობლებს სახლში პატარებისთვის მიაქვთ.

შარშან 50-მდე წყვილი ტაძარში მადლობის სათქმელად ავიდა. თუმცა შვილიერების მთხოვნელი თითქმის ათასამდე წყვილი იყო. წელსაც დაითვლიან ტაძრის მსახურები თუ რამდენ ადამიანს აუსრულა უფალმა თხოვნა. ლმერთმა ყველას მისცეს ჯანმრთელი შვილი.

თეა ხურცილავა

ბერები მოვლენა, ლიტო ნურმა და სახელველი თვალი გონიას

ილია ჭავჭავაძე

ტფილისი, 9 ივლისი

ჩვენს გაზრდი ზედინებ
მოწოდები ამბავია დაბუზირი:
ულთი სოფელ კუთანიდამ და
მეორე რანქის მოწოდები, თორი ეს
სხვადასხვა ადგირიდამ მოწოდები
ამბავი ულთსა და იმავე მიზებს
იძულა, კაცი დაუკირქებ
ულთვალს მოვრუნას,
ლომელის, ჩვენში ლომ კათეკათ,
“არ ახალია, ძველია” და მით,
სასაკუთრებულია, არანაკუბ
საყურადღებოს და კასხელ
სათმელი და სამოძღვრებელი.

ამ წერილების დამწერის
გუმრალურ მოვითხობებ



ძალა მიუკანებ ხორმე
საფრთხობები საგანთან,
თვალით დანახუბენ და
ულთხუბ და ლორებ ამნიკარ
ნაწყოთნი ცხენი თუ ულთხოსას
ულთობ არ დაშრის, იმ
ნაჩვენებ საგანთან მაინც არარ
დაუკოთხება ხორმე. ადამიანი,
სასაკუთრებულია, ცხენი არ
არის. არც მიწისძვრისა იმიათანა
საგანი, ლომ კაცია ან ხელი
შეახოს, ან თვალი მოაქვიდოს.
მიწისძვრის მომავრინებელი
ძალი ადამიანის თვალითაგან
მიუწვდომელ სფეროში მოქ-

თუ რა, ზემოქმედება იქონია სოფელებშე
ოთხის ივნისის მიწისძვრისა. რა თქმა უნდა,
ლომ ეს ბუნებური მოვრუნა, არაერთხელ
ყოველი ჩვენში თუ სხვაგან, ხარბმა ჯერ
უკარაზე უწინარეს ღვთის წყონიმს მიატერი,
სოდათა გახშირების გამო მოვრინებულსა და
უკარაზე უწინარეს იგი ლონე იღონა, ლომ
წყონიმს ღვთისა წყარობად გარდისციოს და
ლმელთი მოწყარების თვალით გარმოახეროს.
ამისათვის აიღეს და სოფელის განასახით
დააგინეს, ლომ კვირაში ულთი ღორე პარასკევი
შეხეიროს ლმელთსა და სამყადო იგი ღორე
იყვნონ.

ცხენი ლოფა დაუკოთხება ხორმე, მიზენი
ის არის, ლომ ნათურა კუნ არჩეს საგანთან.
ამისი წამარი მარწო ის არის, ლომ ცხენის

მეტობენ და რაგანას ამის გამო მიზენი ნათურა
და თვალისაჩინო გამოყოფილებისა, უსორინის
ხარი ულთხოს და ჰშიშობს. ეს ამბავი განა
მარწო ჩვენშია: უკარაზე არის და უკარაზე
ახელე ჰშიშობებს და ფრთხის ამგვარ ხორცის
თვალითაგან მითარებულ ამბავები.

მაგრამ კაცია საბერნიერო, ლმელთი
ადამიანისათვის ხორცის თვალითა გარდა
მიუწიფების გონების თვალისა და თუ ეს თვალი
კაც კარგად უწინოს, ქვეყანაზე არა დამარცება
რა უკარაზე მოვრუნას ქვეყნისას ახეთს
თუ ისეთს მიზენს მოყმოვებს. თუ ეს მიზენი
ყოველთვის მართარი და უცყალო არ არის,

იმოღენად მაინც საწილი და ჭავჭავაში ახეთს ხორმე,
ლომ კაცი ტყიდუბრუოდ არ გარეუგება, არ
ისარჩება, არ იბეჭვა და არა ბრძოლება თვის

მოძღვარი

ყოველი ცხოვნების მხვრობაში და არ ეძღვა ცუკირს სახოზარეულოებას, რომელიც უკარა მაგნეზიერ მაგნესია, რადგანც არამანს გაფარებ ხერებს აკრიბისებს და მცნობელება.

ხელოვანი ამ დღეში ჩატანების და უახლესობის და ამ დღეშიც ცვივის ბეჭრები ხევაგუნის იმისთვის ბეჭრების მოვრენის გამო, რომელსაც აუხილებო თვალი გონიერის ვერა ხევრება ჩასახავავი. სამ უნდა აუხილოს ეს გონიერის თვალი? მარტო ხევაგუნის თვალის და სხვა არათვერმა. ამ, ძველისძველი სახსალი, რომელიც ყოველთვის ახდება სამოძღვრისა ამ ყრჩის და ბეჭრები მოაწყონილობისთვის. ხოლო თვალი ბეჭრი არა შეადრის თვალის საბერისერო, თუ თან არ შეხეხებ ყოველ შემძლებელი გონიერის თვალი, რომელსაც ცაში ვარსკვავი არ გამოექვრება და ზოგის ძირში ქვიში, რომისათვისაც არა იმოღენა მანძილის ქვეყნიერობაზე, რომ არ მისწვევს და არა სიღრმე, რომ არ ჩაიხეროს, არა იმისთვის საიდუმლოა, რომ ქვევისგან შესახუნრებელი მიზეზი მაინც არ მოყენოს არა თუ ისე.

მარტარია, მისისძვრას დიდი უბერაპობა მოხდევს ხორმე. ჩვენი ამ ხარმავარი საყუენე, როგორიც წინა საყუენების, არა უკონტენი ყოფილი მოწმარ, რომ ძვრას მის გაურიცველა და თან ჩაუყანის ქრაქები და ხოვრები, მაგრამ აქ ღვთის ცენტრი არათვერმა შაუშია. ყოველ მოწყველ რმელთი თვის დანაბარს ქვეყნას თვითვე არ დაუცუკნ. რმელთი ქრისტიანობისა შეკისმაბიუბელი რმელთი არ არის; იგი კაცითოვანელი და ამის დანამდვილებაზე ძე თვისი საყვარელი გამოგხვნა ქვეყნად ქვეყნის სახსნელი და მან ძემა ღვთისა და დანაბარს განვითარება ხორმით თვისი და დანაბარს განვითარება.

თუნდ რომ მისისძვრა ღვთის ცენტრი არ არა ბეჭრების მოვრენა, როგორიც ნიაღვარის მოვარდნა, სერენა, ძები და სხვა ამისთვის, მაინც თან ხარმავი უმობა, რომელიც ზემოხსენებული ხოვრებს სახოზარელ განახენით დაუდგუნიათ? უმობას დედა

ყოველის ბოლოფისათვის, განა იმავე ღმერთმა არ ბძანს? მაშ ღვთის ცენტრის მოსაპოვებელი თან სახსალის იგი ღობე, რომელიც ყოველის ბოლოფის ღვევა ავრი სამართლისად ხორებულია? ღმერთს მშრომელი, გამრჯვით კაცი ყველას, იმიწოდ, რომ მისგანვე არის ნაბძანები: “თუ ითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენით”. მცონარეობა, უქმარ ყოფნა ხდება ღმერთსა, იმიწოდ, რომ ბოლოფისა და ცოდისათვის ხელგამომავალი და მოსკირი მარტო მცონარე და უქმარ კაცია. იუსტის ქრისტები თვისის იგავით მცონარეობას ახრენმა აუგონ და თვისის სამართლისანი მხავრი დახორ. ვის არ ახსოვს იგი იგვი, რომელიც მოვითხოვობს, რომ ბავრნმა მოხას ფარანტი მისეა სახატებულო და იმის მაგიერ რომ ასარებულოს, მოხამ აირო და მიხამი ჩატავა, არ დამეჯარებოს. ვის არ ახსოვს როგორ განჭიერის იუსტის ქრისტები ამისთვის მცონარე?

ამიწომას მუცისმეც შესრომარ მიღვაჩნია კვათანებისა და უახლესობისაგან კვირაში ურთი ღრის უქმარ დაღება. ეგ უმიზებო უქმობა რისხევას და არა მოწყველებას მოიპოვებს იმისაგან, ვინც შრომა და გარჩეს პატივსაგებ მოქმედებად გვიანდერმა. ღმერთს უქმობით ვერავინ აამებს. ამისათვის საჭიროა მხორო კუთირი საჭმე, რომელიც ხარმავნებელი ხორმი პატივსანებისა, ნამუსისა, გარ მართულ ცხოვნებისა და კაცითოვანებისაგან. ყველა მასებოვანი გრძნელები შვილი არიან მარტო ქეშმარიცის ხევარებანათვებისა. ამიწომას უფრო მარტარ გამოხარები იქნებორ, უფრო საამირი ღვთისა და კაცითოვანის, რომ უკარი თვისის იგი იგრძელება და ურთი ღრის უქმარ არ აცარონ, არამედ ისაქმონ და იმ ურთის ღრის ნამოქმედრო ჭირნებული შეხეილონ თვისი შვილების ხევარებანათვების საჭმეს და ამ შესაძირებით საკუთრი ხეორ გამართონ, რომელ ამისათვის საჭირო ფური მოუგროვებათ.

განეთი ‘ივერია’, 1887 წ., #140, 10 ივნისი, გვ. 1-2


დაბეჭდია გაზეთის მეთაურ ცენტრი, უსათყორო და ხელმოწერა.

ლეჩებულებული ცხრილი

1918 წლის 26 მაისს ქართველა ხალხა დამოუკიდებლობა იზება, საქართველო ახალ ცხოვრებას იცხოვდა. თუმცა ხანოკლე აღოჩნდა მისი დამოუკიდებლობა.

1921 წელს რუსთის მიერ ანექსის შემდეგ ეპვთიშვილია საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამოყოლო და განდს მათვალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზულება მთავრობამ თან წაიღ საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმის დაცული ქვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტით მომზადები სხვა საგანძურო, ქვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძულობა, გელათის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან წამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მისაკუთრებულ საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად განძის ეპვთიშვილი თაყაიშვილი მუზეუმიდა. განძის უსლ 39 წელი იყო, ეპვთიშვილი მარსელის განძი პონდა შენახული. განუხომებია ეპვთიშვილის თაყაიშვილის ღვაწლი ქარველი ერის საგანძუროს გადარჩენის საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ეპვთიშვილის საქართველოს დაუგრუნდა ეროვნული საუნივერსიტეტის შესახებ.

შურნალი „რაჭველები“ პერიოდულად გიამბობათ ეპვთიშვილის თაყაიშვილის მიერ დაპრუნებული საგანძუროს შესახებ.




იადგარი

ქართული პიმნოგრაფიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს X საუკუნის პიმნოგრაფს, მუსიკოსს, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს მიქელ მოდრეკილს. იგი ოშეის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელი იყო. მიქელ მოდრეკილი ავტორია საგალობელთა კრებულისა „იადგარი“, რომელიც შედგენილია 978-988 წლებში. კრებული თავდაპირველად შეიცავდა 632 ფურცელს, ჩვენამდე კი მხოლოდ 272 ფურცელმა მოაღწია. კრებულში გაერთიანებული იყო იმ დროისათვის არსებული ყველა

ნათარგმნი თუ ორიგინალური საგალობელი. კრებული იმითაცაა საინტერესო, რომ მასში საგალობლები ნევმირებულია — გაწყობილია მუსიკალური ნიშნებით. კრებულში არის სხვა პიმნოგრაფთა ნიმუშები, მათ შორის ოთხი პიმნი X საუკუნის გამოჩენილი პიმნოგრაფის და მუსიკოსის იოანე მინჩხის შემოქმედებიდან. იოანე მინჩხი ავტორია როგორც ტექსტების, ასევე მუსიკალური მელოდიებისაც. იგი წერდა იამბიკოთიც და მარცვლედოვანი საზომითაც. იოანე მინჩხი იყო ნოვატორი, მისი შემოღებულია სალექსო კომპოზიცია, რომელიც შემდგომ მყარად დამკვიდრდა ქართულ პიმნოგრაფიაში. მიქელ მოდრეკილისა და იოანე მინჩხის თანამედროვეა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ტბეთის საეპისკოპოსი კათედრის პირველი ეპისკოპოსი, მნიგნობარი და პიმნოგრაფი იოანე მტბევარი. მისი საგალობლებიც მრავლადა შესული კრებულში. საგალობლები მიძღვნილია დღესასწაულებისადმი

და მასთან ერთად განადიდებენ დიდ მოღვაწეებსაც: იოანე ნათლისმცემელს, იოსებ მართალს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, იოანე ოქროპირს და სხვებს.



დავითის ჯვარი

ჯვარი, რომელსაც დავით აღმაშენებელი ატარებდა, ინახებოდა გელათში. იგი სავარაუდოდ, უფრო ადრე, IX საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. ჯვარი ძველი დროიდანვე მოსილი იყო ძლევამოსილების სახელით. დავით აღმაშენებელმა იგი მხოლოდ წარწერით შეამკობინა: „ლმერთო ყოვლისა

საგანძური

დამბადებელო ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით აფხაზთა და ქართველთა პერთა და კახთა მეფე მზე ქრისტეანობისა ამინ". ჯვარი ნაკეთებია ვერცხლის ერთი მთლიანი მოქრული ფირფიტისაგან. ჯვრის ზემო მელავზე ორი ანგელოზი და მედალიონში წმინდა პეტრეს გამოსახულებაა; მარცხენა მელავზე, მედალიონებში, მათე და მარკოზ მახარებლები არიან; მარჯვენაზე — ლუკა და იოანე; ქვედა მელავზე წმ. ბარბარეს და წმ. პავლეს გამოსახულებებია.



ვეფხისტყაოსნის

მინიატურები

„ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები შესრულებულია იმერეთის მეფის ალქსანდრეს მდივნის მამუკა თავაქარაშვილის მიერ 1646 წელს; მან ლევან II დადიანის ბრძანებით გადაწერა და დასურათა „ვეფხისტყაოსანი“. მამუკა ტყვედ იყო ჩავარდნილი ლევანის კარზე, რის შესახებაც იგი წარწერაშიც ამბობს: „დადიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე-მფარველსა. ვიწყე ეს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულვყავ თვრა-მეტსა აგვისტოსა, ქორონიკონსა სამასოცდათოთხმეტსა. თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყევლით, ტყვეობაშიდ ვსწრდი. შიგნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორასოცდათორმეტი“. მამუკას „ვეფხისტყაოსნის“ 39 მინიატურა აქვს შექმნილი. იგი იყო ამასთანავე შესანიშნავი კალიგრაფიც.



გალათის ოთხთავი

მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი — გელათის ოთხთავი გადაწერილია XII საუკუნეში. აქვს 44 ძვირფასი ქვით შემკული სანიშნე და ვერცხლის ბუდე. ტექსტი ნაწერია ეტრატზე ნუსხურით; ხელნაწერი შეიცავს 292 ილუსტრაციას, მათ შორისაა მახარებელთა გამოსახულებანი. მინიატურები მაღალსტატურადაა შესრულებული. საწყისი ასოებისათვის და ზოგიერთი სტრიქონის გამოსაყოფად ნახმარია ფერუცველი ოქრო მელანი; ბალთებზე გამოსახული არიან მთავარანგელოზები, ყდის წინაპირზე ჯვარცმის კომპოზიცია, უკანა პირზე კი — აღდგომის. ყდის ორივე მხარე შემკულია ძვირფასი თვლებით.



წყაროსთავის ოთხთავი

წაროსთავის ოთხთავი XII ს-ის ძეგლია. მისი გადამწერები არიან იოვანე ფუკარალისძე და გიორგი სეთასძე: „დაიწერა და გასრულდა ელითა ორთა მწერალთათა: იოვანეს ფუკარალისძისა, მნათისათა და გიორგის უთასძისათა... ქრონიკონი იყო

იე“ (1195 წ.). სახარების ყდის მოჭედილობა ეკუთვნის XII-XIII სს. შესანიშნავ ოსტატს ბექა ოპიზარს. სახარება გადააწერინა და მოაჭედინა ტბეთის ეპისკოპოსმა, „გლახაკმა“ იოანე საფარელ-მტბევარმა. ყდაზევე არის ბექას ხელმოწერაც: „ქრისტე შეიწყალე ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი“. ყდას ორი რელიეფური კომპოზიცია ამკობს: ერთ მხარეს „ვედრება“; მეორე მხარეს — „ჯვარცმა“. „ვედრების“ მხარეს, მაცხოვრის ზემოთ ლამაზად შესრულებული ასომთავრული წარწერებია. ბექა ოპიზარის მიერ შესრულებული ყდების მოჭედილობა ოქრომჭანდაკებლობის მწვერვალია. ბექას მიერ შესრულებული ნამუშევრებიდან ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ანჩის ხატის ჩარჩოს მოჭედილობამ.




გართის ოთხთავი

ბერთის ოთხთავი ეკუთვნილდა ბერთის მონასტერს (კლარჯეთი). ოთხთავის ყდის წარწერებში ვკითხულობთ: „ოქროპირისა ნივთითა მოიჭედა სახარებაი ესე“, „მოიჭედა ელითა ბეშქენ ოპიზარისათა“. ყდის მოჭედილობა ეკუთვნის გამოჩენილ ოქრომჭედელს ბეშქენ ოპიზარს, მისი ნამუშევრებიდან ცნობილია მხოლოდ ეს მოჭედილობა. ოთხთავის ერთ მხარეს გამოსახულია „ჯვარცმა“, მეორე მხარეს — „ვედრება“. ჩუქურთმები და ორნამენტაცია ბეშქენის მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს.

დავით კიკოლაშვილი

სოფიო რევიუვალი

თბილისის უნივერსიტეტი



ეძღვნება ანა კალანდარის

ვხედავ ლექსის ბწყარებს შეა,
ამოსულა ია,
თვალს ვაღევნებ ულამაზეს,
შოეზიის სუნთქვას,
ბწყარებს ქვემოთ მორაგრაგებს,
ნაკადული ცივი,
ფლორას ქვერთხი დაუკრია
ადგილის დედისთვის
გამიცოცხლდა სახეები,
ვით ფრესკები წმინდა;
თამარ, დავით, ელიზბარი
შალვა და ბიძინა...
ოდეს ქამსა მნელბედობის
ცაი იუო მწუხრი,
გადაწონის გულისმგერა
ჩანჩქერების ქუხილს
და აღანთებთ ხევსურთ შვილთა
ვით აბედსა კვესი,
ფასი კარგად რომ იციან
ნაწრთობ ხმლის და ლექსის,
ხევსურს სულ სხვა გაგება აქვს
მსმენელს სიბრძნით აბამს
და ბუნების ენის ცოდნით,
მეცხრე ცაზე აშეავს.
არჩალოს წელისა კალმახი
სხვა კალმახებს არ ჰგავს,
ჩანს ბუნება მის ლამაზ ზურგს
ფუნჯით სხვა ფრად ქარგავს,
მოიღრუბლა სამშობლოს ცა
მტერი ავსა ზრახავს,

საქართველოს დიდი მეფის
დამარცხებას სახავს,
ომობს ჯარი ვითარც ლომი,
მტერსა ბეჭებრ ჰეგაფავს.
დიდგორის ომის გმირობას
სული ზეცას აშეავს,
იმ „ძლევამ საკვირველმან“
მტერს თავზარი დასცა,
იბერიას აოხრება,
ერს წალეპება აცდა.
სძლია ემმას ოწმენის მალამ
და მის ურიცხვ მიმდევართა,
მახვილითვე განიგმირა,
ვინაც მახვილი აღმართა!
წმინდა მეფე უმმიმეს ქამს
განვებისგან მოვლენილი,
„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე
ზე მეფედ არს აღწერილი,
ორმოც წელიწადს იღვაწა
ქვეუნის აღმა მშენებელმან,
საგმირო და სასახელო,
საქმით დამამშვენებლმან,
სინაწელთა გალობანის
შემოქმედმა და მთხობელმან,
მწუხრის ლოცვა იღასრულა
მეფემ, ცოდვათ დამგმობელმან
და ეს ლოცვა შეიწენარა,
ზეცით წმინდა ღვთისმშობელმან.
წლებმა განვლო რთულ ომებში
მოაღწია აღსასრულმან,

ლექსად თქმული

მეფის ანდერმი დაწერა
ჟამთაღმწერმა და მთხრობელმან;
სურს რომ გულზედ დააბიჯოს
ქართველ ერთაგან უოველმან...
„დვაწლის ფასად თავს მიუძღვენ
გალობანი სინანულის“,
და დიადი მეგლის ნაცვლად
დაეფინე შენს ერს ფერსთით,
მსგავს სულიერ ამაღლებას
ვურ იხსენებს კაცთა მოდგმა,
ვითარც მაცხოვარის საქმეს,
როს მოწაფეთ ფერსთა ბანა...
ნიავქარი წიგნსა ფურცლავს,
კგამლს ბრძოლის ხმა ახლავს,
დარდის ამშლელი ბრჭარები
რთულ დრო-ჟამსა ხატავს:
მზე შემდგარა ფერსთა წვერზე
დასქერს თავის ქალაქს,
ხმალშემართულ პატარა კახს
არაგველნი ახლავს,
ღრუბელნი როგვით მიდიან
ლილისფერ მთათ მიღმა,
კრწანისიდან გმირთა სულნი
ზეცისკენ გაფრინდა...
ფშავის მთიდან ბარს გასცერენ
ქალნი – უკვდავება,
არაგველების მშობელნი
შვილთ „ბედს“ ელოდება,
რომელთა ფართო გულ-მკერდი
მტრის ჯარს ელობება,
საბედისწერო წუთში კი
მეფის ფარი ხდება.
დღეს მათი წმინდა სულები
თამარს ეახლება,
და ცხრა მთავარანგელოზი,
გმირებს ღიმით ხვდება...
წმინდა მარიამის მიწას

უფლის სათვალთვალოს,
ვერა ჰპოვა სამკეიდროი
სხარსმა და ოსმალომ.
მღერის ბველთა დიდებაზე,
ოქი, ზარზმა, ტაო,
ლამაზი ხარ და ფაქიზი
საქართველოს ცაო!
წენარად მღერის ქარი ნანას,
ზღაპარს ამბობს ჭადარი,
ლამაზია საქართველო,
მისი მსგავსი სად არის?
გაზაფხულის მზე გაშეკაშებს
სხივთა ბადეს აბამს,
კვალად ვისმენ ტანდამარღვულ
ბრგე თუთის ხის ამბავს;
ქალი გრძნეულად ქცეული
სასწაულებს ამბობს
რომ თუთის ხე, ვითარც ვაჟი
მასთან შექრას ლამობს...
ზურმუხტი, მოწი, ბირვილი
ზოეტის ექლს ამკობს,
მაგრამ მათი ხელეოფისგან
დარდი, ფიქრი აკრთობს.
წვიმა არის ცხრა მაისის
მაგრამ სულში დარია,
მტერს ამარცხებს ციციშვილი,
ხარობს ჭიამაია...
მთათა მეღერი ჩანჩქერები
და ნაჟური კლდისა,
წარაფები, კბოდეები,
ცაი ღურჯი მთისა,
აირეკლავს ღექსებს ღვთიურს,
როგორც ტბაი სხივთა,
გულში იკრავს წიგნს ირემი,
როგორც თავის შვილსა.
უფრთხილდება ანას ლექსებს,
როგორც თვალისჩინსა!...



რეალ ჰისტორია

წინაპირობა გამოქავილი

მე რომ დამკარგეთ, ეს ვიცი, მაგრამ რას ერჩით სახლ-კარსა?!.

სარეველა რად ბატონობს ჩემი წიქარას სახნავსა!

ეზოში ძაღლი რომ იწვა, მგელს არ უშვებდა ახლოსა,
ახლა ვინ დაეჭატრონა ჩვენს ლამაზ სამოსახლოსა?!

თქვენ, ჩემო სისხლის წვეთებო, რამ დაგადუმათ, რა მოხდა...

ჟე, ბიჭო, თოხი მოიტა! უორეზე წეალი გადმოხტა.

ჩქარა, უშველეთ, თორემ სახლს წააქცევს, გახდის ნაცრადა,
ღობე იმსხვრევა, თქვენ უნდა იქცეთ საგირგლე ქაცვადა.

ღვარცოფი ეზოს რომ ტბორავს, თქვენ როგორ უმზერთ მშვიდადა?

მიწას უშველეთ თუ მოგაქვთ თავი ამ მიწის შვილადა!

რაც დაგიტოვეთ, იმასაც გვალვის წეალივით აკლდება:

მტრობა ახლა... სულ სხვაა, არ გმართებთ გულხელდაკრეფა!

სამას არაგველს მოუხმეთ, ცხრა მმაც მოგცემდათ რჩევასა,

ნუ ელოდებით ქარიშხალს, ზღვის უფრო სასტიკ ღელვასა;

ნუ დამაბუნდით, გაფხიზლდით, ნუ გაისუქებთ კისრებსა,

სხვისი ხელების შემუჯრე, სჯობს, აქ, ჩვენს გვერდით იწვესა.

თავევე დამწულა თევდორე, ბერი წვერ-ულვაშს იხოკავს,


როს ხედავს თავის სამშობლოს ვიღაცის სასაცილოსა!

...თქვენი იმედი ჯერაც მაქვს, სხვამ ვინ, რად დამიფიცოსა!

ურად თუ იღებთ ჩემს რჩევას, ვერარამ დამამიწოსა.

აქ ფეხზე დადგა ქართველთა ჯარი-ხმალ-აბჯარს ითხოვსა!..

გადავაბრუნებთ, ღმერთმანი, გულზე რომ გვაწევს იმ ლოდისა!





გსურთი იყოთ ცარმალუბლი?
გაეცით ამგიცია?

ისნავლები ჩვენთან, მიღები სახელმიწოდების მიერ აღიარებული დიპლომი და
გაეცით პროფესიონალი განათლება?

თქვენს განათლებაზე იზრუნებენ მაღალი კულტურული პროფესიონალური მოღვაწეობი, კოლეჯში მოქმედებს ბაბლიონით, რომელიც აღჭურვილია სპეციალური და მხატვრული ლიტერატურით. სპეციალური კაბინეტ-ლაბორატორიები და სრულფასოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაგენერირებათ მიიღოთ ხარისხის განათლება და შეუძლია მატერიალურ ადამიანთა რიგებს.

ქორეოგრაფ-რეპეტიტორის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მიიღებენ „იუნისესოს“ დოკუმენტის საერთაშორისო საპქოს სერთიფიკატს, რომლითაც თქვენ შეძლებთ იმუშაოთ სხვადასხვა ქვეყნებში ქორეოგრაფიად.

აპიტერის უძრავი უძრავი ცარმალი მავლები:

- განათლების დამატასტურებელი ღოკუმენტი (ატესტატი—დედანი ან 9 კლასის დამთავრების მოწმობა)
- ოთხი ფოტოსურათი 3X4
- პირადობის მოწმობის ასლი

კოლეჯის ბაზაზე ჩამოყალიბებულია ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამანი“ და ფოტოფოტორული ანსამბლი „ზარები“. მათ წმინდაზე აქვთ გამოსვლები როგორც რესპუბლიკის მასშტაბით, ისე საზოგადოებრივ სხვადასხვა კონცერტებსა და ფესტივალებზე.

სოციალურად დაუცველ და ინტერაციით ჩაღააზილებულ აირჩაზე მოწოდებას შეღავათავი.



ჩვენთან ხელი ქორეოგრაფია!

გეოლოგ ჩვენთან

ჩვენი კოლეჯის ქორეოგრაფი—რეაციონის ფაკულტეტი გაეცა „იუნისესოს“ ცეკვის საერთაშორისო საბჭოს ნივრი.

ვიღება ცხადიება შემდეგ საეციალოებზე:

9 კლასის განათლების პაზაზე:

- კორესპონდენცია—800 ლ.
- სამკურნალო ნანარჩის სპეციალისტი—1100 ლ.
- კრიზინალისტი III საფეხური—1300 ლ.

პრიზის მისამართი:

- IV საფეხური—1400 ლ.
- V საფეხური—1500 ლ.
- ქორეოგრაფ-რეპეტიტორი—1500 ლ.
- მესაკის-რეპეტიტორი—3000 ლ.
- (თანხა მოიცავს 2 სასაცლო ნებას)
- საესტრადო მუსიკის შემსრულებელი—1600 ლ.
- მცირე პაზნესის მნარმანებელი—1500 ლ.

სრული ზოგადი განათლების პაზაზე:

- გაფი—1200 ლ.

მონაცემის რაოდის:

- IV საფეხური—1400 ლ.
- V საფეხური—1500 ლ.
- ქორეოგრაფ-რეპეტიტორი—1500 ლ.
- მესაკის-რეპეტიტორი—3000 ლ.
- (თანხა მოიცავს 2 სასაცლო ნებას)
- საესტრადო მუსიკის შემსრულებელი—1600 ლ.
- მცირე პაზნესის მნარმანებელი—1500 ლ.



კოლეჯი ასევე მოქმედებს მრავალპიროვნებულიანი ტრენინგ-ცენტრი, სადაც მოგამზადებათ თქვენთვის სასურველ სპეციალობაში და მიიღებთ სერტიფიკატს.

სწავლის დაწესება და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მსურველთა ინტერესების გათვალისწინებით.

www.xma.edu.ge

მის: თბილისი,
ნერეთულის გამზირი 1
555 555 951
598 331 951

